

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №413

2015 წლის 5 აგვისტო

ქ.თბილისი

### ტექნიკური რეგლამენტის - მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა“.

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტექნიკური რეგლამენტის – მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №82 დადგენილება.

#### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

#### მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა

თავი I  
შესავალი

#### მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები და მოქმედების ტერიტორიული სფერო

წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა მტირალას ეროვნული პარკისთვის, დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მენეჯმენტის გეგმა სავალდებულოა ყველა დაცული ტერიტორიისთვის. მენეჯმენტის გეგმა იქმნება დაცული ტერიტორიებისთვის გრძელვადიანი მიზნების დასასახად, რომლებიც უნდა განახორციელოს პასუხისმგებელმა უწყებამ მენეჯმენტის გეგმის მეშვეობით, შედეგების მისაღწევად მის მიერ შესასრულებელი კონკრეტული ქმედებებისა და პროგრესის მონიტორინგის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრის გზით.

#### მუხლი 2. ეროვნული პარკის შექმნის მთავარი მიზნები

მტირალას ეროვნული პარკი შეიქმნა 2006 წლის 25 მაისს „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონით და ემსახურება შემდეგ მიზნებს:

ა) უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

ბ) კოლხური ტყეების ეკოსისტემების გრძელვადიანი დაცვა;

გ) ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დ) რეკრეაციული საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფა ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის ადმინისტრაციული რაიონების საზღვრების ფარგლებში.

#### მუხლი 3. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი

მენეჯმენტის გეგმის შემუშავება შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

ა) 2013 წლის ოქტომბერში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რათა მენეჯმენტის გეგმის შემუშავების სხვადასხვა



ეტაპისთვის განსაზღვრულიყო ეროვნული პარკის ადგილობრივი პარტნიორები.

ბ) მენეჯმენტის გეგმის I და II თავები შემუშავდა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე 2014 წლის მარტში.

გ) საწყისი სამუშაო შეხვედრა და პირველი დაგეგმვის სემინარი ჩატარდა 2014 წლის მარტში გარე დაინტერესებულ პირებთან ერთად. დაგეგმვის სემინარის განმავლობაში განიხილეს მენეჯმენტის I და II თავები, განსაზღვრეს ეროვნული პარკის ძირითადი ღირებულებები და შეთანხმდნენ გრძელვადიანი მიზნების შესახებ, ასევე გამოავლინეს პრობლემები და შესაძლებლობები, რაც მენეჯმენტის გეგმაში უნდა აისახოს.

დ) მენეჯმენტის გეგმის I და II თავები გადაიხედა, ხოლო III და IV თავები შემუშავდა 2014 წლის მაისში პირველი დაგეგმვის სემინარის შედეგების საფუძველზე.

ე) 2014 წლის 1-2 ივლისს გაიმართა დაგეგმვის სამუშაო შეხვედრა პარტნიორებთან ერთად ჩატარდა, ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში. აღნიშნულ შეხვედრაზე III და IV თავები გადაიხედა და ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი მიზნები და პროგრამები. V და VI თავები შემდეგ შემუშავდა.

ვ) 11 და 12 ნოემბერს მოხდა მენეჯმენტის გეგმის პირველი სრულყოფილი პროექტის განხილვა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად. საჭირო ცვლილებები შეტანილ იქნა ტექსტში.

ზ) 2015 წლის 28 თებერვალს მართვის გეგმის პროექტი გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის.

თ) 2015 წლის 23 მარტს შედგა საკონსულტაციო შეხვედრა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით დაცული ტერიტორიების სააგენტოში, თბილისში.

ი) 2015 წლის 24 მარტს ჩატარდა საჯარო განხილვა ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში.

#### მუხლი 4. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი

მენეჯმენტის გეგმა მოქმედებს ძალაში შესვლიდან 6 წლის განმავლობაში.

#### მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან, არაუგვიანეს მექანიზმების წლის პირველი კვარტალისა, დაცული ტერიტორიების სააგენტომ უნდა დაიწყოს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადება, რომელიც მიღებული უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### თავი II დაცული ტერიტორიების აღწერა

#### მუხლი 6. ადგილმდებარეობა

1. მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ბათუმიდან დაახლოებით 20 კმ-ის მანძილზე, შავი ზღვის სიახლოვეს (მანძილი ზღვიდან პარკის უახლოეს პუნქტამდე 12 კმ-ია). პარკი წარმოადგენს სხვადასხვა მდინარეებით დაქაქსულ მთაგორიან ტერიტორიას (უმაღლესი წერტილი მდებარეობს ზღვის დონიდან 1762 მ. სიმაღლეზე, რომელიც ახლოსაა მთა მორვილის მწვერვალთან და ეროვნული პარკის გარეთ იმყოფება) – ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული მდინარეებიდან ყველაზე დიდია მდ. ჩატარდა მცირე კავკასიონის უკიძურეს დასავლეთ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. იგი განეცუთვნება აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთ ნაწილს და ქობულეთი-ჩატარდა მდებარეობს. ერთადერთი დასახლება პარკის საზღვრებს შიგნით არის სოფელი ჩატარდა მდებარეობს და რომელიც პარკის შუაგულში მდებარეობს და რომლის ტერიტორია პარკს არ მიეკუთვნება. მტირალას ეროვნული პარკი ტყით დაფარულ ტერიტორიას წარმოადგენს და ჩრდილო-აღმოსავლეთით კინტრიშის ნაკრძალს ესაზღვრება.

2. „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფართობი შეადგენს 15,698.8 ჰა-ს. მტირალას ეროვნული პარკი დაყოფილია სამ: ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის უბნებად. ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებია: ქობულეთის მუნიციპალიტეტში: ჩატარდა ხელვაჩაურის, ხალა, გორგაძეები, ჩაისუბანი, ზედა აჩვა, ქვედა აჩვა, დაგვა; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში: ყოროლისთავი, მასაური, ჩაისუბანი, აგარა, განთიადი, კაპრეშმი, სამება, ახალშენი, ხეკრუ, ზემო ჯოჭო, კაპნისთავი; ქედას მუნიციპალიტეტში: ზუნდაგა, მახუნცეთი, აგარა, გულები, წონიარისი, ზვარე, პირველი მაისი, ზენდიდი, ხუნკუდა. (იხ. მტირალას ეროვნული პარკის რუკა დანართში 2).

3. ეროვნული პარკი სამ ფუნქციონალურ ზონად იყოფა: მკაფრი დაცვის ზონა (ეროვნული პარკის ტერიტორიის



15,7%), ვიზიტორთა ზონა (51,4 %), ტრადიციული გამოყენების ზონა (32,9 %).

## მუხლი 7. ეროვნული პარკის ადგილმდებარეობა ეროვნულ დონეზე

1. მტირალას ეროვნული პარკი საქართველოში დღესდღეობით არსებული 11 ეროვნული პარკიდან ერთ-ერთია. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მტირალას ეროვნული პარკის გარდა ასევე მდებარეობს მაჭახელას ეროვნულ პარკი, კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი, კინტრიშის დაცული ლანდშაფტი, ქობულეთის ნაკრძალი და აღვეთილი. აღნიშნული დაცული ტერიტორიები მცირე კავკასიონის მთიანი ლანდშაფტებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვას უზრუნველყოფს.

2. მტირალას ეროვნული პარკი მაჭახელას ეროვნულ პარკთან და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან ერთად კოლხეთის მთიანი ეკოსისტემების კონსერვაციას უზრუნველყოფს. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ რეგიონში არსებობს რელიეფური სახეობის შემოჩენილი ხელუხლებელი ტყეები. კოლხეთის დაბლობი და ზღვისპირეთის ფენომენი წარმოდგენილი და დაცულია კოლხეთის ეროვნულ პარკში.

3. მტირალას ეროვნული პარკის სამხრეთით მდებარე ტერიტორიის ნაწილი ფრინველთა კონსერვაციის მნიშვნელოვანი ტერიტორიის ნაწილია (IBA) GEO 14 "Batum", რომელიც შეიქმნა 2002 წელს და ფართობი შეადგენს 41938 ჰას.

4. საქართველო იმყოფება ეროვნული ჰაბიტატების კლასიფიცირების პროცესში ევროკავშირის (დანართი I) ჰაბიტატების დირექტივისა და ასევე ბერნის კონვენციის № 4 (1996) და № 6 (1998) რეზოლუციების მიხედვით. მას შემდეგ, რაც ჰაბიტატები კლასიფიცირდება და რუკაზე დაიტანება, სავარაუდოა, რომ მტირალას ეროვნული პარკი ან მისი ფართობის ნაწილი რეკომენდებული იქნება დაცული ტერიტორიების ზურმუხტის ქსელში შესაყვანად.

## მუხლი 8. ეროვნული პარკის ადგილმდებარეობა საერთაშორისო დონეზე

1. მტირალას ეროვნული პარკი მცირე კავკასიონის დასავლეთი ნაწილის დაცულ ტერიტორიებს შორის ერთ-ერთია აჭარაში კინტრიშის დაცულ ტერიტორიებსა და მაჭახელას ეროვნულ პარკთან და თურქეთში ჯამილის ბიოსფერულ რეზირვაციან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ მტირალა-კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი გამოყოფილია მდინარე აჭარისწყლის ხეობით, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალით, დასახლებებით, გაუტყევებელი და დამუშავებული მიწებით მაჭახელა-ჯამილის დაცული ტერიტორიების კომპლექსიდან, ისინი ერთმანეთთან საკმარისად ახლოსაა განთავსებული სახეობათა ქვეპოპულაციებს შორის კომუნიკაციის შესაბამისად, ასევე ცალსახად დაცული ეკოსისტემების სტაბილურობის უზრუნველყოფად.

2. კოლხურ რეგიონს საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, როგორც გამყინვარების პერიოდში მრავალი სახეობის რეფუგიუმსა და შემდგომში ამ სახეობების თავმოყრის ცენტრს. მტირალას ეროვნულ პარკში კონსერვირებულია კოლხური ეკოსისტემების მთის ტიპი. ეროვნული პარკის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნებრივ მდგრადი ინარჩუნებს.

## მუხლი 9. ეროვნული პარკის ისტორია

1. ცისკარას ნაკრძალი 1959-დან 1961 წლამდე არსებობდა. მისი ფართობი დაახლოებით 1400 ჰას შეადგენდა და მდინარე ყოროლისწყალისა და მტირალას მთის შემოგარენში მდებარეობდა. ამჟად ეს ტერიტორია მტირალას ეროვნულ პარკს განეკუთვნება.

2. მტირალას ეროვნული პარკი დაარსდა 2006 წლის 25 მაისს „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

3. მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია შეიქმნა 2007 წლის 27 ივნისს.

## მუხლი 10. გეოლოგია, ნიადაგები და ჰიდროლოგია

1. ეროვნული პარკის ტერიტორია გეოლოგიური აგებულების მხრივ დიდად არ განსხვავდება აჭარის დანარჩენი ნაწილებისგან: აქ მირითადად გავრცელებულია მესამეულის ანდეზიტური შემადგენლობის ტუფოგენური ქანები.

2. პარკის ტერიტორიაზე მირითადად 3 ტიპის ნიადაგს ვხვდებით. ზღვის დონიდან 600 მ-მდე გავრცელებულია კავკასიისათვის მეტად იშვიათი ნიადაგები – წითელმიწები; წითელმიწა ნიადაგების მცირე ფართობები წარმოდგენილია პარკში (მის დასავლეთ საზღვართან), რომლებზეც შერეული ფართოფოთლოვანი ტყეებია გავრცელებული. წითელმიწების ორი ტიპი არსებობს: წითელი ზედაპირული („ჰაბლიკვ ფერასოლს“) და ეწერი („ჰაბლიკ ჰისოლს“ ან „როდიკ აკრისოლს“). აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად წითელმიწები იცვლება ყვითელმიწა ყომრალი და ტყის ყომრალი ნიადაგებით, რომლებიც ძირითადად დაფარულია წიფლნარებითა და წიფლნარ-წაბლნარების შერეული ტყეებით. ეს ნიადაგები წარმოდგენილია „უმბრიკ კამბისოლს“ და „დისტრიკ



კამბისოლს“ - ტიპის ნიადაგებით წიფლნარის ტყეებისა და შექრიანის ბუჩქნარის ქვეშ, ხოლო წაბლნარის ტყეში ძირითადად წარმოდგენილია ყვითელმიწა ტყის ნიადაგები („ოკსიკ კამბისოლს“). გარდა ამისა, ჭალებში ფრაგმენტულად გვხვდება აგრეთვე ალუვიური ნიადაგებიც.

3. პარკის ტერიტორიაზე გვხვდება საშუალო და მცირე ზომის მდინარეები. ძირითადი ჰიდროარტერიებია ქობულეთ-ჩაქვის ქედის ზღვისკენ მიქცეულ ფერდობზე მდინარეები ჩაქვისწყალი და ყოროლისწყალი, რომლებიც შავ ზღვაში უშუალოდ ჩაედინებიან, ხოლო ქედის სამხრეთ ფერდობზე – მდინარე აჭარისწყლის შენაკადები დოლოგანი, ზუნდაგისწყალი და ზოგიერთი სხვა. ბევრი მათგანი თვალწარმტაც ხეობებში მიედინება, ჭორომებსა და ჩანჩქერებს ქმნის. ტერიტორიაზე ასევე გვხვდება მინერალური და მტკნარი წყლის წყაროები, რომლებიც სამცურნალო თვისებებითაა გამორჩეული.

## მუხლი 11. კლიმატი

1. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი ზღვისპირა ნაწილში 2000 მმ-ზე მეტია, დიდი მტირალას ზღვისკენ მიქცეულ ფერდობებზე კი 4000 მმ-მდეც აღწევს. ატმოსფერული ნალექების მაღალი მაჩვენებელი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ადგილობრივი ბიოტის უნიკალურობას. ჰაერის ტენიანობა 80–85%-ს შეადგენს, ხშირია ნისლიანი დღეები, რაც თავისებურ ელფერს ანიჭებს მარადმწვანე ქვეტყით მოცულ, გაუვალ კოლხურ ტყეებს. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს ზღვის დონიდან 500-600 მ-ზე 10–12°C-დან 1000-1200 მ-ზე 5–6°C-მდე.

2. მთის ქვედა სარტყელში ყველაზე თბილი თვის (აგვისტო) საშუალო მაჩვენებელია 20°C, ხოლო ყველაზე ცივი თვის (იანვარი) - -2°C. აბსოლუტური მინიმუმი ზღვის დონიდან 1000-1200 მ-ზე -13,6°C -ს აღწევს. პარკის ტერიტორიაზე უყინვო დღეთა რიცხვი საშუალოდ 274-ია. თოვლის საფარის სიმძლავრე მთის შუა და ზედა სარტყლებში ხშირად 3-4-მ-ს (ზოგან მეტსაც) აღწევს.

## მუხლი 12. ლანდშაფტები

1. ქობულეთ-ჩაქვის ქედი ოროგრაფიულად აჭარას დასავლეთ (ზღვისპირა) და აღმოსავლეთ (შიდა მთიან) ნაწილებად ყოფს. პარკის ტერიტორიაზე, რომელიც ძირითადად ზღვისპირა აჭარის ზონას მოიცავს, გამოიყოფა:

- ა) მთის ქვედა სარტყელი (ზღვის დონიდან 500-600 მ-მდე);
- ბ) მთის ქვედა სარტყელი (წინასთან შედარებით მაღალია 600-1200 მ-მდე);
- გ) შუა სარტყელი (წინასთან შედარებით მაღალია 1200-1500 მ-მდე);
- დ) ზედა სარტყელი (წინასთან შედარებით მაღალია 1500-1600 მ-ზე ზემოთ).

2. უმაღლესი ჰიდროლიკური ნიშნულები 1700 მ-ის სიახლოესაა და მიესადაგება მორვილის ქედს, რომელსაც პარკის აღმოსავლეთის საზღვარი გასდევს (მთა მორვილის სიმაღლეა ზღვის დონიდან 1733 მ, ხოლო პარკის უმაღლესი წერტილია 1762 მეტრი). მთები დიდი მტირალა, ტირათი და ზოგიერთი სხვა 1300 მ-ს აღემატება. რელიეფი მეტად დანაწევრებულია: რელიეფურ ფორმაციებს შორის გამოირჩევა თვალწარმტაცი ვიწრო ხეობები (მათ შორის, კანიონები).

## მუხლი 13. ჰაბიტატები

1. ტერიტორიის თითქმის 100% ტყითა და გაუვალი ბუჩქნარითაა დაფარული. ჰიდრომეტრულად ტყეები შემდეგნაირადაა განაწილებული:

- ა) < 500-600 მ: მთის ქვედა გორაკბორცვიანი სარტყლის შერეული ფართოფოთლოვანი კოლხური ტყეები;
- ბ) 500 (600)-1000 (1200) მ: მთის ქვედა ზონის წაბლის სარტყელი (*Castanea sativa*);
- გ) > 1000 (1200) მ: მთის შუა და ზედა (>1500 მ) ზონების წიფლის სარტყელი (*Fagus orientalis*).

2. პარკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უჭირავს ტყის ფიტოცენოზებს წიფლის დომინირებით: ქვედა სარტყელში გვხვდება წაბლნარ-წიფლნარები, სადაც პირველ იარუსში ხშირია, ასევე რცხილა (*Carpinus caucasica*), იფანი (*Fraxinus excelsior*) და სხვ. ქვეტყეში ხშირია ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), ბზა (*Buxus colchica*), პონტის შეკერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rh. luteum*), წყავი (*Laurocerasus officinalis*) და სხვ. (იხილეთ ცხრილი 1)

3. ამავე სარტყელშია გავრცელებული ცენოზები წაბლის დომინირებით, რომლებიც კომპოზიციურად ბევრად არ განსხვავდება წიფლნარებისაგან (იხილეთ ცხრილი 1).



## ცხრილი 1. ტყის ტიპების განაწილება მტირალას ეროვნულ პარკში

(„კავკასიაში ბუნების მსოფლიო ფონდის“/WWF 2014, გ. ბერუჩაშვილი მონაცემების თანახმად)

ტყის ტიპი	ფართობი (ჰა)	ფართობი (%)
წიფელი	10104.8	64.12
თხმელა (მურყანი)	1852.6	11.76
წაბლი და კაკალი	1262.8	8.01
რცხილა	315.1	2.00
ნეკერჩხალი, თელა იფანი,	5.7	0.04
ხეხილი	46.0	0.29
ბუჩქნარი	2127.6	13.50
არასატყეო ფართობი	44.7	0.28

4. ზღვის დონიდან 1000-1200 მ-ზე მაღლა გვხვდება წიფლნარების უნიკალური ცენოზები უნგერნის შეერი (*Rhododendron ungernii*) და სხვა ტიპის მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ქვეტყით (*Rhododendron ponticum*, *Laurocerasus officinalis*, *Vaccinium arctostaphylos*, *Rhododendron luteum*, *Viburnum orientalis*, *Rubus caucasicus*).

5. ხეობებში ტიპურია თხმელნარები (მურყანარები) *Alnus barbata*-ს დომინირებით ტყის ქვედა სარტყელში და ნაცარა მურყანას (*A. incana*) დომინირებით შუა სარტყელში.

6. ტერიტორიას განსაკუთრებულ ორიგინალობას ანიჭებს მარადმწვანე, მაღალ ბუჩქნართა ფორმაცია პონტური შეერიანი (*Rhododendron ponticum*), სადაც გაუვალი რაყები მრავლად არის წარმოდგენილი. ამ ცენოზს შეერიანი ეწოდება. პონტური შეერიანის (*Rhododendron ponticum*) ფარგლებში კოლხური რელიქტური სახეობების მონაწილეობის გამო ბევრი იშვიათი მცენარეული ერთობა გამოიყოფა. იგი წარმოდგენილია სახეობებით: პონტური შეერი (*Rhododendron ponticum*), უნგერნის შეერი (*Rh. Ungernii*), იელი (*Rh. Luteum*), ბაძგი (*Ilex colchica*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), კოლხური მაყვალი (*Ruscus colchicus*). ყველაზე თვალსაჩინოდ ეს მცენარეული ერთობები გამოსახულია მდინარე ყოროლისწყლის ხეობაში (მისი მარჯვენა შენაკადის ნამწვავისწყლის სათავეებში), სადაც შეერიანში გვხვდება აჭარა-ლაზეთის უიშვიათესი სახეობა გაულთერონიდული ეპიგეა (*Epigaea gaultherioides*). ბალახოვანი საფარით შეერიანი მდიდარი არ არის, რაც ბუჩქნარის სიხშირითაა გამოწვეული, თუმცა ჩრდილისა და ნესტის ამტანი ზოგიერთი სახეობა მაინც გვხვდება. ესენია: *Dryopteris oreopteris*, *Athyrium filix-femina*, *Blechnum spicant*, *Oxalis villosa* და სხვა.

## მუხლი 14. ბიომრავალფეროვნება

1. ბოლო გამყინვარების პერიოდში კოლხეთის რეგიონი თერმოფიტური და მეზოფილური ტყეების რეფუგიუმს წარმოადგენდა, რომლებსაც ამ პერიოდიდან მოყოლებული ზრდა აღარ შეუჩერებია. მრავალი რელიქტური სახეობა აქ დღესაც გვხვდება. აჭარა-თურქეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიები მდიდარია უმველესი ენდემური სახეობებით. ყოველივე ზემოაღნიშნული მტირალას ეროვნულ პარკს გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

2. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეებისა და ცხოველების მრავალი სახეობა შეტანილია საერთაშორისო თუ საქართველოს წითელ ნუსხაში. დეტალური ინფორმაცია მოცემულია მომდევნო მუხლებში.

3. მტირალას ეროვნული პარკის ფაუნისა და ფლორის მრავალფეროვნება ბუნების მოყვარული ტურისტებისა და უცხოელი მკვლევარების მოზიდვის შესანიშნავი საშუალებაა. აქ შეიძლება მოეწყოს სპეციალური ტურები ფრინველებზე დაკვირვებისათვის (განსაკუთრებით გადაფრენის პერიოდში) და ფლორის მოყვარულთათვის რელიქტური როდოდენდრონების ყვავილობის პერიოდში. როდოდენდრონები ყვავილობს აპრილ-მაისში და გვიან ზაფხულში, ნაყოფი მწიფდება ზაფხულის ბოლოს, გავრცელებულია ტყის სარტყელის ყველა საფეხურზე და ქმნის სხვა ბუჩქებთან (წყავი, ბაძგი) ერთად მარადმწვანე ქვეტყეს. შემოდგომით თბილი დღეების დადგომისთანავე ახასიათებს მეორეული ყვავილობა.



## მუხლი 15. ფლორის და მცენარეულობის ტიპები

ეროვნული პარკის ტერიტორია ენდემურ და რელიქტურ მცენარეთა იშვიათი მრავალფეროვნებით ხასიათდება. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი იშვიათი რელიქტური ენდემებია, მაგალითად: პონტოური მუხა (*Quercus pontica*), მედვედევის არყი (*Betula medwedewii*), უნგერნის შეკერი (*Rhododendron ungernii*), ეპიგეა (*Epigaea gaultherioides*) (იხ. ცხრილი 2). ეს უკანასკნელი ორი მარადმწვანე ბუჩქი და მედვედევის არყი მსოფლიოში მხოლოდ აჭარასა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გვხვდება.

ცხრილი 2. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ხეებისა და ბუჩქების მერქნიანი მცენარეების სახეობები, რომლებიც გვხვდება მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე

ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	ეროვნული სტატუსი
<i>Betula medwedewii</i>	მედვედევის არყი	VU
<i>Buxus colchica</i>	კოლხური ბზა	VU
<i>Castanea sativa</i>	ჩვეულებრივი წაბლი	VU
<i>Corylus colchica</i>	კოლხური თხილი	VU
<i>Epigaea gaultherioides</i>	გაულთეროიდული ეპიგეა	VU
<i>Juglans regia</i>	კაკლის ხე	VU
<i>Quercus hartwissiana</i>	კოლხური მუხა	VU
<i>Q. pontica</i>	პონტოური მუხა	VU
<i>Rhodedendron ungernii</i>	უნგერნის შეკერი	VU
<i>Staphylea colchica</i>	კოლხური ჯონჯოლი	VU
<i>Taxus baccata</i>	უთხოვარი	VU
<i>Ulmus glabra</i>	შიშველი თელადუმა	VU

## მუხლი 16. ფაუნა

1. ტერიტორია გამოირჩევა ფაუნის სახეობათა მრავალფეროვნებით, მათ შორის ათობით სახეობაა ჩამოთვლილი საქართველოს წითელ ნუსხაში. (იხ. ცხრილი 4 კრიტიკული გადაშენების საფრთხის წინაშე და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი კატეგორიებისთვის). პარკის ტერიტორიაზე მსხვილი ძუძუმწოვრებიდან გავრცელებულია შველი (*Capreolus capreolus*), მურა დათვი *Ursus arctos*, გარეული ღორი (*Sus scrofa*) და სხვა. შედარებით დიდი ზომის სხვა ფრინველებიდან გვხვდება: ჩია არწივი (*Hieraaetus pennatus*), ძერა (*Milvus migrans migrans*), ირაო (*Pernis apivorus*), ქორი (*Acipiter gentilis marginatus*).

ცხრილი 3. ფაუნის IUCN-ის წითელ ნუსხაში შეტანილი (CR, EN და VU კატეგორიები) და საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, რომლებიც გვხვდება ეროვნული პარკის ტერიტორიაზე

ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	IUCN-ის კატეგორია	ეროვნული სტატუსი
---------------------	--------------------	-------------------	------------------



<b>Mammals</b>			
<i>Rhinolophus mehelyi</i>	მეტელის ცხვირნალა	VU	VU
<i>Lynx lynx</i>	ფოცხვერი		CR
<i>Ursus arctos</i>	მურა დათვი		EN
<i>Rupicapra rupicapra</i>	არჩვი		EN
<b>Birds</b>			
<i>Aquila clanga</i>	დიდი მყივანი არწივი	VU	VU
<i>Aquila heliaca</i>	ბეგობის არწივი	VU	VU
<i>Falco cherrug</i>	გავაზი	EN	CR
<i>Falco vespertinus</i>	თვალშავი		EN
<i>Haliaeetus albicilla</i>	თეთრკუდა ფსოვი		EN
<b>Reptiles</b>			
<i>Darevskia clarkorum</i>	თურქული ხვლივი	EN	EN
<b>Amphibians</b>			
<i>Mertensiella caucasica</i>	კავკასიური სალამანდრა	VU	VU
<b>Invertebrates</b>			
<i>Acherontia atropos</i>	სფინქსი მკვდართავა	EN	EN
<i>Daphnis nerii</i>	ოლეანდრის სფინქსი	EN	EN
<i>Parnassius apollo</i>	აპოლონი	VU	VU
<i>Parnassius nordmanni</i>	კავკასიური აპოლონი	EN	EN
<i>Phassus shamil</i>	კავკასიური წმინდადგახვიარა	EN	EN
<i>Zerynthia caucasica</i>	კავკასიური ზერინთია	VU	VU
<i>Inotrechus injaevae</i>	ინჯაევას ბზუალა	EN	CR
<i>Omophron limbatum</i>	მრგვალი ბზუალა	EN	EN
<i>Rosalia alpina</i>	ალპური ხარაბუზა	VU	EN
<i>Allobophora kintrishiana</i>	კინტრიშის ჭიაყელა		EN

CR – გადაშენების კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი; EN – გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი; VU – მოწყვლადი სახეობა.

2. საქართველოსთვის ენდემურ სახეობას წარმოადგენს - კინტრიშის ჭიაყელა (*Allobophora kintrishiana*). ფაუნის



დაახლოებით 50 სახეობა ან ქვესახეობა კავკასიისთვის ენდემურია.

## მუხლი 17. მეცნიერება და განათლება

1. ეროვნული პარკი არის საუკეთესო საშუალება სამეცნიერო კვლევებისა და სწავლებისათვის მისი უნიკალური ბუნებრივი პირობების და მისი დიდ ქალაქთან სიახლოვის გამო, სადაც განლაგებულია აკადემიური ინსიტუტები (ბათუმი).

2. ეროვნულ პარკს გააჩნია სხვადასხვა ტიპის ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზების პოტენციალი, ძირითადად მიმდებარე სოფლების სკოლებისა და ზოგადად აჭარის რეგიონის მოსახლეობისთვის. ეროვნული პარკის მისადგომი ადგილები მნახველს სთავაზობს ბუნებრივ მახასიათებლებზე დაკვირვების შესაძლებლობას. წარსულში ინტენსიური ჭრის შედეგად დაზიანებული დიდი ტერიტორიები შეიძლება გამოყენებული იქნეს ბუნებრივსა და ზედმეტად გაჩეხილ ტყეებს შორის განსხვავების, ჭრის აქტივობების გრძელვადიანი ზეგავლენისა და დამცავი რეჟიმის პირობებში გართულებული რეგენერაციის სადემონსტრაციოდ.

## მუხლი 18. მიწათსაკუთრება და მიწათსარგებლობა

1. ეროვნული პარკის მთელი ტერიტორია განეკუთვნება სახელმწიფო ტყის ფონდს, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს. დაცული ტერიტორიების სააგნტო და მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია სახელმწიფო საკუთრების უფლებების განხორციელებაზე.

2. ეროვნული პარკის ტერიტორიის დაახლოებით 65% დაფარულია ნაკლებად სახეცვლილი ტყეებითა და ბუჩქნარით, სადაც ჭრები მხოლოდ დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა. დანარჩენი სხვა ადგილები ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებული საქმიანობები ხორციელდებოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ინტენსივობით.

3. 90-იან წლებამდე ხე-ტყის დამზადებას ძირითადად სამრეწველო ხასიათი ჰქონდა, ხოლო 90-ანი წლებიდან მხოლოდ შეშის დამზადება ხდებოდა მიმდებარე სოფლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხე-ტყის ჭრა ძირითადად ხდებოდა სპეციალურად გაყვანილი ტყესაზიდი სამანქანე და სატრაქტორე გზების მიმდებარედ (100-150 მ. ზოლში გზის თითოეულ მხარეს). ხშირად ადგილი ჰქონდა ჭრის წესების დარღვევის ფაქტებს. ჭრები ინტენსიურად ხორციელდებოდა გავაკებულ ტერიტორიებზე. ზოგიერთ შემთხვევაში 1 ჰა-მდე ცალკეულ ფართობებზე ადგილი ჰქონდა ხეების პირწმინდად ჭრას. აღინიშნებოდა ბრაკონიერობის გახშირებაც. ეს ყოველივე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე მკაცრი კონტროლის რეჟიმის შესუსტებისა და დაბალი ჯარიმების, არამედ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგი იყო. სიტუაცია უკანასკნელი წლების მანძილზე რადიკალურად გაუმჯობესდა: ადმინისტრაციამ აღვეთა უკანონო ჭრები და შეამცირა ტყეების გამოყოფა პარკის ტერიტორიაზე. მომიჯნავე სოფლების მოსახლეობის სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებისა და, შესაბამისად, შეშაზე მოთხოვნილების კლების კვალდაკვალ, ამჟამინდელი სიტუაცია კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

4. ხელსაყრელი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ტყეების განახლება მეტწილად დამაკმაყოფილებელია. არის შემთხვევები, როდესაც ჭრაგავლილი ტერიტორიები დაფარულია მაყვლით, გვიმრითა და სხვა მაღალბალახეულობით და ბუჩქნარებით. ჭრაგავლილ ტერიტორიებზე ნიადაგის ეროზიული პროცესები არ მიმდინარეობს, თუმცა, რამდენიმე ადგილას დაფიქსირდა გზების დამეწყვრა.

5. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ძალზედ უმნიშვნელოდ ხდება საქონლის მიერ ტყეების დაზიანება: დასახლებული პუნქტების სიშორის და ეროვნული პარკის შესასვლელებთან ბარიერების არსებობის გამო აქ საქონელი მეტად შეზღუდული რაოდენობით იმყოფება. მოვების გავლენა ტყეების მდგომარეობაზე უმნიშვნელოა.

6. ჩაქვისთავში იწარმოებოდა თამბაქო, რაც თაფლის წარმოებასთან შეუთავსებელი იყო ფუტკრებზე ზემოქმედების გამო. სოფლის მოსახლეობამ გადაწყვიტა შექერებინა თამბაქოს წარმოება და ამჟამად ადგილობრივი პროდუქტებიდან თაფლი ყველაზე დამახასიათებელი პროდუქტია მტირალას ეროვნული პარკისთვის.

## მუხლი 19. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

1. იმ სამი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რომელსაც მტირალას ეროვნული პარკი მოიცავს – ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედას მუნიციპალიტეტები – ისტორიისა და კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლია წარმოდგენილი. აქ გვხვდება ნასახლარები, ეკლესიების, ციხე-სიმაგრეების, სასაფლაოებისა და სამსხვერპლოების ნანგრევები, არქეოლოგიური არტეფაქტები, უძველესი ხიდები, ლითონისა და თიხის ნაკეთობები, მელი სარწყავი არხები - თითოეულ მათგანს უძველესი და შთამზეჭდავი ისტორია აქვს. ამავე რეგიონში იქნა აღმოჩენილი მაკედონიური და რომაული მონეტები.

2. პეტრა-ციხისძირის ციხე-სიმაგრე ეროვნული პარკის მომიჯნავე ტერიტორიაზე, ქობულეთიდან 5 კმ-ში მდებარეობს. პეტრა-ციხისძირს გადმოცემით ციხე-სიმაგრისა და ეკლესიის ფუნქციებიც ჰქონდა. სამხედრო და სავაჭრო კუთხით მისი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ამ ციხე-სიმაგრის გაფართოება ბრძანა.



ციხისძირში მდებარე ციხიდან კონტროლდებოდა როგორც სანაპირო ზონაში გამავალი გზა, რომელიც ამ რეგიონს ბიზანტიასთან, სპარსეთთან და სომხეთთან აკავშირებდა, ასევე ბიზანტიიდან შავ ზღვაზე გამავალი აბრეშუმის გზა.

3. აჭარაში აქამდე მოღწეულ არქიტექტურულ ძეგლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალრიცხოვანი თაღოვანი ხიდები. ხიდების მშენებლობის ტრადიცია ჩვენი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებიდან იწყება - მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა გამოცხადებული და ადგილობრივ კონომიკაში, ცხოვრების ნირში, კულტურასა და არქიტექტურაში ახალი მიმართულებები დამკვიდრდა. საქართველოსათვის და აჭარისთვისაც ქვის თაღოვანი ხიდების მშენებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან ქვეყანაში აბრეშუმის დიდი გზა გადიოდა. დღესდღობით ამგვარი ხიდები ძირითადად აჭარაში მდინარეების აჭარისწყალისა და კინტრიშის ხეობებშია შემორჩენილი. ხიდების საერთო რაოდენობა დაახლოებით 30-ს აღწევს.

4. დღემდე მოღწეულ ძეგლებს შორის აღსანიშნავია ჩაქვის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება, სადაც ასევე შენარჩუნებულია ფრესკები. საინტერესო მეგლს წარმოადგენს ასევე მტირალას ეროვნულ პარკთან მომიჯნავე სოფელ ზენითის მონოლითური ქვის საწახელი, რომელიც ბერძნული ეპოქის ძეგლია და ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულით თარიღდება. აღნიშნული 8 მ-ის სიგრძისა და 3 მ-ის სიგანის მონოლითური ფორმის ქვა საწახელს წარმოადგენს, სადაც მოთავსებული იყო ოწინარები / ბერკეტები და წნეხი. ზენითის საწახელი დიდი მოცულობისაა, რაც რეგიონში მევენახობა-მეღვინეობის საუკუნოვან ტრადიციებს ადასტურებს. ჩაქვისწყლის ხეობაში მევენახოების განვითარებას მოწმობს ასევე აქ მდებარე თითქმის ყველა სოფელში შემორჩენილი უძველესი ღვინის მარნების ნანგრევები.

5. ლეგენდის თანახმად, სოფელი ჩაქვისთავი ჩვენი წელთაღრიცხვით VII ან VIII საუკუნეში, მკვლელობის თანამონაწილეობის გამო მეზობელი რეგიონიდან - გურიიდან გამოქცეული ოთხი მმის მიერ იქნა დაარსებული. ის ტერიტორია, რომელზედაც მაშინ სოფელი ჩაქვისთავი დაარსდა, ფაქტობრივად უცნობი და აუთვისებელი იყო: იგი შავი ზღვის სანაპიროდან მოჭრილი იყო წყალდიდობების დროს წყლით დაფარული ჭალებითა და ბამბუკის გაუვალი ტყეებით. ერთადერთი გზა, რომლითაც აქ მისვლა შეიძლებოდა, იყო კინტრიშის მხრიდან ტყეებით დაფარულ ქედზე გამავალი, მხელად სავალი ბილიკი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მდინარე ჩაქვის დაბალ წყლებში მყოფმა რამდენიმე მეთევზემ ხელით გადაჭრილი ხეები შეამჩნია, გავრცელდა ხმები, რომ მდინარის აყოლებაზე სოფელი უნდა ყოფილიყო. სოფლის ოთხმა დამაარსებელმა მეუღლები სავარაუდოდ ტრადიციულად, მოტაცების გზით ახლომდებარე სოფლებიდან მოიყვანეს, რის შედეგადაც მრავალი წლის შემდეგ აქ დიდი თემი ჩამოყალიბდა. 1870-იან წლებში, რეგიონში ოსმალების ბატონობის დასასრულს, დასახლებაში 650 კომლი სახლობდა, თუმცა აჭარაში ჩაის პლანტაციების განვითარებასთან ერთად მოსახლეობამ იწყო მიგრაცია ზღვის სანაპიროს მიმართულებით, რის შედეგადაც სოფელი დაპატარავდა. მტირალას ეროვნული პარკის დაარსებითა და ტურისტებისათვის ადგილობრივი პროდუქტების თუ მოსახურების შეთავაზების გზით ყოფილი თუ ამჟამადინდელი მოსახლეობა სოფლის კვლავაც აღორმინების შესაძლებლობას ხედავს.

6. „დიდი მტირალას“ მთის მწვერვალის სიახლოეს არსებობს საპარა თავდაცვის სამხედრო ბაზის ნანგრევები (რადიოლოგიური კომპლექტი და სხვა შენობები). მტირალას მთაზე ასევე არსებობს 2000 წლის ოქტომბერში ამ მთის ქვედა ფერდობზე რუსული თვითმფრინავის ჩამოვარდნის შედეგად დაღუპულთა მემორიალი.

## მუხლი 20. ტურიზმი და რეკრეაცია

1. აქ არსებული მთებისა და ტყეების ლანდშაფტების კომბინაცია და მდიდარი ბიომრავალფეროვნება სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესების ვიზიტორებს იზიდავს. სხვადასხვა ჯგუფების მოზიდვის მაღალი პოტენციალი არსებობს, როგორიცაა: მთაში მოგზაურობის, ბუნებისა და ექსტრემალური სპორტის მოყვარულები, ადამიანები, რომელთაც სურთ დასვენება წყნარ ადგილას და აინტერესებთ ადგილობრივი კულტურა და პროდუქტები.

2. ტერიტორიის მიმზიდველობის კიდევ უფრო გაზრდა შესაძლებელია გაუმჯობესებული ვიზიტორთა ინფრასტრუქტურით, სერვისებით.

3. ტურიზმი ეროვნულ პარკში ძირითადად ჩაქვისთავის გარშემო იყრის თავს. ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ შექმნა ვიზიტორთა ცენტრი და სხვა საველე ინფრასტრუქტურა ვიზიტორებისთვის ამ ტერიტორიაზე (დეტალებისთვის იხილეთ მუხლი 28). სოფელი ჩაქვისთავის მაცხოვრებლებიც ვიზიტორებს ასევე სთავაზობენ სერვისებს.

4. ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ შენობასთან ახლოს ჩაქვში მუშაობს თაფლისა და საჩუქრების პატარა მაღაზია, რომელიც ადგილობრივი სათემო ორგანიზაციის მიერ იმართება. აქ შეთავაზებული ყველა პროდუქტი ეროვნულ პარკთან მომიჯნავე სოფლებიდან მოაქვთ.

5. ტურისტული რუკები პერიოდულად ურიგდებათ პარტნიორებსა და ვიზიტორებს. ეროვნულ პარკში არსებობს ორი მარკირებული ბილიკი ვიზიტორებისათვის, რომლისთვისაც არსებობს შესაბამისი რუკები და ვრცელდება დაინტერესებულ პარტნიორებსა და ვიზიტორებს შორის. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია უტარებს პრეზენტაციებს ტურისტულ საგენტოებსა და ჟურნალისტებს.



6. რამოდენიმე ადგილობრივი ტურისტული სააგენტოს მიერ მტირალას ეროვნულ პარკში ეწყობა ერთდღიანი ექსკურსიები.

## მუხლი 21. ადგილობრივი ეკონომიკა ეროვნული პარკთან მიმართებაში

მტირალას ეროვნულ პარკს ადგილობრივ ეკონომიკაზე სხვადასხვა ზეგავლენა აქვს და შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

ა) ეროვნული პარკი, როგორც ბრენდი, იზიდავს ტურისტებს, რაც წარმოშობს შესაძლებლობებს ადგილობრივი საოჯახო ტიპის სასტუმროებისა და რესტორნებისთვის, ცხენზე ჯირითის, სამთო ველოსიპედების გაქირავების, ტურისტული გიდების, სახლში დამზადებული პროდუქციისა და სხვა სერვისების ხელშეწყობის მიზნით;

ბ) მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის საშეშე მერქნით უზრუნველყოფა;

გ) მეფუტკრეობა ნებადართულია თაფლის საწარმოებლად, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისათვის, როგორც საკვები პროდუქტი, არამედ ტურისტებზე რეალიზაციის კუთხით.

### თავი III

მტირალას ეროვნული პარკის გრძელვადიანი მიზნები და მისი მენეჯმენტის განმსაზღვრელი ზოგადი პრინციპები

## მუხლი 22. გრძელვადიანი მიზნები

მტირალას ეროვნული პარკის გრძელვადიანი მიზნები (მაგ: მდგომარეობა, რომლის მიღწევასაც დაცული ტერიტორიების სააგენტო მიზნად ისახავს 20-25 წლის განმავლობაში) შემდეგია:

ა) მტირალას ეროვნული პარკი, როგორც საქართველოსა და აჭარის ბუნებრივი მემკვიდრეობის ნაწილი, კავკასიის ეკორეგიონის ერთ-ერთ ცხელ წერტილს წარმოადგენს, მტირალას ეროვნული პარკი ეკოლოგიური დერეფნებით დაკავშირებულია საქართველოს სხვა დაცულ ტერიტორიებთან და ბუზენრივ ლანდშაფტებთან, რაც ერთ მთლიან ქსელს ქმნის.

ბ) მტირალას ეროვნული პარკის სახეობათა მრავალფეროვნება კონსერვირებულია და ჰაბიტატები შენარჩუნებულია ბუნებრივ პირობებთან მიახლოებულად, ხოლო ინვაზიური სახეობები მხოლოდ იმვიათად ან საერთოდ არ გვხვდება, ან არ ახდენს ნეგატიურ ზემოქმედებას გარემოზე, განსაკუთრებით ადგილობრივ ენდემურ სახეობებზე. საკვანძო სახეობების პოპულაციები (კერძოდ, წითელ ნუსხაში შეტანილი და ენდემური სახეობები) ხელსაყრელი საკონსერვაციო სტატუსის ქვეშ იმყოფებიან ტერიტორიაზე მათი ბუნებრივი და ისტორიული გავრცელების შესაბამისად. სისტემატურად ვითარდება გრძელვადიანი მიზნები და ღონისძიებები ბზასთან (*Buxus colchica*) და მასთან დაკავშირებულ სიკვდილიანობის გამომწვევ დაავადებებთან მიმართებაში.

გ) შენარჩუნებულია ტერიტორიის ადგილობრივი კულტურა, სამზარეულო, მემკვიდრეობა და ტრადიციები, რასაც მხარს უჭერენ და ხელს უწყობენ. ადგილობრივი პროდუქტები გარდა იმისა, რომ იმსახურებს ვიზიტორების მოწონებას, ასევე ვრცელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. კარგადაა ორგანიზებული მარკეტინგული, გაყიდვებისა და მომსახურების სისტემები.

დ) მტირალას ეროვნული პარკი მეცნიერებისთვის უწყვეტი ინტერესის საგანს წარმოადგენს მისი ბიომრავალფეროვნების, მათ შორის ენდემური და რელიქტური სახეობების, ბუნებრივი და ხელუხლებელი ლანდშაფტების გამო. ეროვნული პარკი შესწავლის ობიექტს წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მკვლევარებისთვის. ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში წარმოდგენილია ყველა კვლევის შედეგები, ანგარიშები და სტატიები ასევე იგზავნება ეროვნული პარკის ადმინისტრაციასა და დაცული ტერიტორიების სააგენტოში. ყველა მონაცემი გროვდება და ინახება ერთიან მონაცემთა ბაზაში.

ე) მტირალას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა და ღირებულებები ცნობილია ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ისინი გამოხატავენ ინტერესს ეროვნული პარკის მართვაში. ადგილობრივი მოსახლეობა, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები აქტიურად იღებენ მონაწილეობას დაცვითი ხასიათის ღონისძიებებში. საქართველოს/აჭარის მოსახლეობა დაინტერესებულია გარემოს დაცვის, მათ შორის ბუნების კონსერვაციის საკითხებით.

ვ) ეკოტურიზმისა და დასვენების თვალსაზრისით მტირალას ეროვნული პარკი მირითადი ცენტრია აჭარის ვიზიტორებისთვის. პროდუქტებს, სერვისებსა და ვიზიტორთა გამოცდილებას აქვს შემდეგი მახასიათებლები:

ვ.ა) კონფერენციები და სემინარები ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებისა და უნიკალური ლანდშაფტების შესახებ ადგილზე ეწყობა. ადგილობრივი პროდუქციით რეალიზაციის ხასიათის ღონისძიებები და ბაზრობები (საკვები პროდუქტები და ხელნაკეთი ნივთები) იმართება მიმდებარე სოფლებში, არსებობს ასევე მსგავსი ტიპის მაღაზიები, რომლებიც მდებარეობს აბლომდებარე სოფლებში.



3.8) მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტორთა ინფრასტერუქტურა კარგადაა გამართული, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს. ტერიტორიის გარშემო არსებობს საიჯახო ტიპის სასტუმროები და კვების ობიექტები, რომლებიც მნახველს სთავაზობს ადგილობრივ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისგან დამზადებულ ადგილობრივი სამზარეულოს კერძებს. ყველა სერვისი მომხმარებელებზე მაღალი ხარისხითაა მიწოდებული.

3.9) სპეციალური დასვენების სახეობებია შეთავაზებული სპორტის, თამაშებისა და გუნდური მუშაობისთვის. ეროვნული პარკის შიგნით და მის გარშემო სხვადასხვა ადგილას შესაძლებელია მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება, მათ შორის ცხენით ჯირითი, მთის ველოსიპედით გასეირნება, ფრინველებზე დაკვირვება, ბინოკულები ხედების დასათვალიერებლად, მუზეუმი, საინფორმაციო ცენტრი და მაღაზიები.

3.10) მდგრადი ტურიზმი ხორციელდება გარემოზე წეგავლენის გარეშე, ბუნებრივი ეკოსისტემების გამტარუნარიანობისა და ეროვნული პარკის ზონირების საკითხის გათვალისწინებით.

3.11) აქტივობები ეროვნულ პარკში და მის შემოგარენში ხორციელდება მირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ და ემსახურება ადგილობრივ ეკონომიკაში წვლილის შეტანას. ტურიზმი შემოსავლებისა და გადასახადების წყაროა, რაც ემსახურება ადგილობრივ და სახელმწიფო ეკონომიკას.

3.12) მტირალას ეროვნულ პარკს მართავს ეფექტური ადმინისტრაცია, რომელსაც გააჩნია საჭირო ფინანსური და ტექნიკური საშუალებები, ასევე ჰქონდება ადგილოფიციური და შესაბამისი უნარებით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის პერსონალი.

### მუხლი 23. ეროვნული პარკის მენეჯმენტის ზოგადი პრინციპები

მტირალას ეროვნულ პარკზე წეგავლენას ახდენს სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენა და პროცესი. ეროვნული პარკის განსაკუთრებულ მახასიათებლებზე მოკლე და გრძელვადიანი ზემოქმედებების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია დაავადებები და მეწყერები. ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ უნდა შეინარჩუნოს ბალანსი, ერთი მხრივ, ბუნებრივი პროცესების საშუალებით ეროვნული პარკის განმსაზღვრელ ეკოლოგიურ მდგომარეობასა და, მეორე მხრივ, განსაკუთრებული ღირებულებების მოვლას შორის, რომელთა დაცვაზე, შენარჩუნებასა თუ გაძლიერებაზე დაცული ტერიტორიების სააგენტოა პასუხისმგებელი მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან ერთად. ეროვნული პარკის მართვა განხორციელდება შემდეგი მირითადი პრინციპების თანახმად:

ა) დაავადებები: ბზაზე და წაბლზე შეინიშნება სოკოვანი დაავადებები. მკაცრი დაცვის ზონაში ეს დაავადება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ბუნებრივი პროცესი, ხოლო დანარჩენ ზონებში სადაც დაზიანებული სახეობები გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს განეკუთვნება, მიზანშეწონილია მათი დაცვის მიზნით განხორციელდეს გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. არასპეციფიკური დაცვის ღონისძიებები გამოყენებული შეიძლება იქნეს იმ ადგილებში, სადაც მიმდებარე მცენარეული საფარი დაბალი კონსერვაციული ღირებულებისაა. თუ რომელიმე კონკრეტული ბრძოლის ღონისძიება იქნება იდენტიფიცირებული, რომელიც წეგავლენას მხოლოდ დაავადების გამომწვევ მიზაზებზე მოახდენს, მას მიენიჭება უპირატესობა და შეიძლება გამოყენებული იქნეს ყველგან ვიზიტორთა და ტრადიციული ზონების მთლიან ფართობზე, რაც შეეხება გამორჩეულ ასაკოვან ხეებს, მათი კონსერვაციაც სპეციალურად უნდა განხორციელდეს ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაშიც კი. მტირალას ეროვნული პარკის გენეტიკური ფონდიდან უნდა გაძლიერდეს გენეტიკურად რეზისტენტული მცენარეული მასალის იდენტიფიკაცია და გამრავლება.

ბ) გამორჩეული, გიგანტური და ხანდაზმული ხეების კონსერვაცია: დაბერება ყველა ცოცხალი ფენომენის ერთ-ერთ მთავარ ბუნებრივ პროცესს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ყველაზე დიდხოვანი ხე ეროვნულ პარკში, რომელმაც მრავალ საუკუნეს გაუძლო, შეიძლება ჩაითვალოს როგორც გამორჩეული ინდივიდი და შესაბამისად დაცული უნდა იყოს განადგურებისგან, ასევე ხელი უნდა შეეწყოს მსგავსი ხეებისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნას, მაგ: მიმდებარედ არსებული ხეების გატანა. ასეთი გამორჩეული ხეები განსაკუთრებულად უნდა აღიწეროს, დაწესდეს მათზე მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდეს სპეციალური მოვლის პროცედურები და ეს ხეები აღინიშნოს ველზე და რუკებზეც. ინფორმაცია მათ შესახებ უნდა გავრცელდეს როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ვიზიტორებს შორის და გამოყენებული უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნების ინტერპრეტაციისთვის. ეროვნული პარკის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს გამორჩეული ხეების აღწერა მეცნიერული კვლევების გათვალისწინებით (მაგ. ბოლაშვილი, წიქარიშვილი და სხვები, 2009).

გ) ტყის განახლება: მიუხედავად იმისა, რომ კოლხურ ტყეს განახლების მაღალი უნარი აქვს, რამდენიმე ადგილზე ადრე გაკაფული ფართობები კვლავ ხეების გარეშე არის დარჩენილი და მჭიდროდაა დაფარული გვიმრებით (*Pteridium tauricum*) და ბუჩქებით (მირითადად *Rubus* spp., *Rhododendron* spp., *Laurocerasus officinalis* და სხვები). თუ სიტუაცია ასე გაგრძელდა, მცენარეულობა შეიძლება მოიჭრას და ადგილობრივი ბუნებრივად დამახასიათებელი ხის ჯიშები დაირგას.



## მუხლი 24. ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების კონსერვაცია

1. ეროვნული პარკის ეკოსისტემების მდგომარეობა და მათზე ზეწოლა:

ა) ბუნებრივი რესურსების გამოყენება:

ა.ა) თაფლის წარმოება ეროვნული პარკის ტერიტორიის ტრადიცული გამოყენების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. თაფლის წარმოებას მისდევენ ჩაქვისთავსა და ეროვნული პარკის გარეთ მდებარე სოფლებში. ფუტკრების მიერ წექტრის აღება არ იწვევს ზიანს, პირიქით ეს განიხილება, როგორც დადებითი შედეგის მომტანი მცენარეულობისთვის. ფუტკრის სკების განთავსებას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ აქვს ნეგატიური გავლენა იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება ხეების მოჭრა ან ახალი გზების შექმნა, მაშასადამე, უნდა იყოს ნებადართული ტრადიციული გამოყენების ზონაში. ფუტკრის სკების განთავსება იმ ადგილებში, რომლებიც ტრადიციულად წარმოადგენდა ფუტკრის სკების განთავსების ადგილს და დღესდღეობით განეკუთვნება ვიზიტორთა ზონას, არ უნდა იყოს შეზღუდული, ვინაიდან იქ ფუტკრის არსებობა არ იწვევს არანაირ ზიანს.

ა.ბ) კაკლისა და წაბლის ხეების ნაყოფის პირადი მოხმარების მიზნით შეგროვება ასევე ტრადიციულია, რომელიც არ ახდენს რაიმე სახის ნებატიურ გავლენას ბუნებრივ ეკოსისტემებზე და დაშვებულია მხოლოდ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. სხვადასხვა მცენარის ფოთლებისა და ხილის შეგროვება ჩაისთვის და მსგავსი მიზნებისთვის ასევე ნებადართულია ტრადიციული გამოყენების ზონაში.

ა.გ) ხე-ტყის გამოტანა შეიძლება განიხილებოდეს როგორც ტრადიციული გამოყენება, მაგრამ მას აქვს პოტენციალი, რომ ადვილად გაანადგუროს ეროვნული პარკის ბუნებრივი მცენარეული თანასაზოგადოება. ტრადიციული გამოყენების ზონაში ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილის არსებული მდგომარეობა არის არასახარბიერო, რადგან ხდებოდა ეროვნული პარკის დაარსებამდე ხეების უკონტროლო ჭრა, ტყის ბილიკების გასწვრივ არსებული წიფლის კორომები განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია. მეორე მხრივ, ტრადიციული გამოყენების ზონის უფრო შორეულ ნაწილებში, ტყის ბილიკებიდან 50 მეტრზე უფრო დიდ მანძილზე, ტყის მდგომარეობა არის კარგი და ბუნებრივთან საკმაოდ მიახლოებული. ეროვნული პარკიდან შეშის სახით მოჭრილი ხის 95%-ზე მეტი არის წიფელი. დღეისათვის ყველა მომაკვდავი, მნიშვნელოვანად დაზიანებული, დამტვრეული ან წაქცეული ხე, რომელიც მდებარეობს ტყის ბილიკებთან ახლოს (როგორც წესი 30-40 მეტრის მანძილზე) არის მონიშნული და გამოიყოფა მხოლოდ როგორც საშეშე მერქანი. ზეზემდგომი, ჯანსაღი ხეები არ იჭრება. ბილიკებიდან უფრო მეტი მანძილით დაშორებული ხეები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს მათი ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯების სიდიდის გამო. საშეშე მერქნის მოპოვების კონტროლის მიზნით თითოეულ ხეს აქვს ნომერი ხის იდენტიფიკაციისთვის. შეშა გაიცემა მტირალას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების მოსახლეობაზე - ოჯახზე -  $10 \text{ m}^2$  მდე ოდენობით წლის განმავლობაში.

## ცხრილი 4. გასული 7 წლის განმავლობაში მონიშნული და გაცემული შეშის რაოდენობა

(კუბური მეტრი)

წელი	მონიშნული	ათვისებული
2008	3,232.02	1,040.03
2009	2,298.55	1,050.10
2010	2,798.99	1,420.04
2011	1,519.07	205.39
2012	1,776.61*	922.48
2013	1,028.85**	278.17
2014	1226.20	654.45

\* მოიცავს 2011 წლიდან დარჩენილ  $1313.68 \text{ m}^3$



\*\*\* ახლად მონიშნული შეშის მაქსიმალური სავარაუდო რაოდენობა

ა.დ) 2008-2014 წლებში მონიშნული და რეალურად გაცემული საშეშე მერქნის ოდენობა მოცემულია IV ცხრილში. ზემოთ მოცემული ციფრები ნათლად გვიჩვენებს, რომ მოპოვებული შეშის წლიური რაოდენობა ბევრად ნაკლებია ველზე მონიშნულ რაოდენობაზე. ეს არის იმის გამო, რომ ხის მოპოვება ძირითადად ხდება სატყეო გზების სიახლოვეს, მაგრამ ხეების მონიშვნა ხორციელდება მთლიან ტრადიციულ გამოყენების ზონაში.

ბ) ხანძრები: მტირალას ეროვნულ პარკში მაღალნალექიანი ტენიანი კლიმატის გამო ხანძარი ხშირად არ ჩნდება. მიუხედავად ამისა, პატრულიორების ან სხვა აქტივობების დროს რეინჯერები და სხვა ადამიანები ყურადღებით უნდა დააკვირდნენ ტერიტორიას და მინიმუმად შეამცირონ ხანძრის გაჩენის რისკი, რადგან წარსულში რამდენჯერმე გაჩენილა ხანძარი ეროვნული პარკის ტყეში. ეროვნულ პარკსა და მის შემოგარენში კოცონის დანთების დასაშვები ადგილები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ დაუშვან დიდი ცეცხლის დანთება.

გ) წყალი: ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე მდინარე. ადგილობრივ მოსახლეობას უფლება აქვს (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნებართვის მიღების შემთხვევაში ტრადიციული გამოყენების ზონაში) მოიპოვოს წყალი საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით და განათავსოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა წყალი მიიყვანოს საკუთარ სახლებსა და ბაღებში. ამჟამად ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წყლის მოპოვება ხდება ხელვაჩაურის მე-8, მე-9, 24-ე, 25-ე და ქობულეთის 48-ე, 66-ე, მე-13, მე-14 კვარტლებში. წყლის მოპოვების შედეგად ზიანი არ დაფიქსირებულა ბუნებრივ მახასიათებლებზე.

დ) სამოვრები: მცირე რაოდენობით საქონელი ძოვს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, რაც ნებადართულია მხოლოდ ტრადიციული გამოყენების ზონაში. არსებული რაოდენობით საქონლის ძოვება გარემოზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ ახდენს.

ე) ფლორა: ფართოდ გავრცელებულია 593 სახეობა და ქვესახეობა, მათ შორის 28 სახეობის ხე და 35 სახეობის ბუჩქი. სულ მცირე 76 სახეობა რელიქტურია. 66 სახეობა არის ენდემური (იხ. ცხრილი რეგიონის ენდემური სახეობების შესახებ).

#### ცხრილი 5.მტირალას ეროვნული პარკის ფლორის სახეობათა ენდემიზმი

რეგიონი	ენდემური რიცხვი	სახეობების რიცხვი
კავკასია	26	
საქართველო	7	
კოლხეთი	25	
აჭარა-ლაზეთი	6	
აჭარა	2	
<b>სულ</b>	<b>66</b>	

გ) ფაუნა: უახლესი დაკვირვებებისა და კვლევების შედეგების მიხედვით პარკის ცხოველთა სამყარო წარმოდგენილია 275 სახეობით. აქედან 71 ძუძუმწოვარია, 121 ფრინველის სახეობა, 10 ამფიბია, 22 რეპტილია, 17 თევზი და 34 უხერხემლოთა სახეობაა. პარკში გავრცელებულ სახეობებს შორის 12 სახეობა IUCN-ის წითელ ნუსხაშია შესული როგორც გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა (გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და მოწყვლადი კატეგორიები- იხ. ცხრილი 3). 66 სახეობა შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში (5 გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა, 16 გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და 45 მოწყვლადი სახეობა).

#### 2. დაცვა

ა) ეროვნული პარკის ადმინისტრაცია საკმარისად აღჭურვილია იმისათვის, რომ უზრუნველყოს ტერიტორიის ძირითადი დაცვა (რეინჯერთა აღჭურვილობის ჩათვლით - კვადროციკლი, 4WD ავტომობილები, ცეცხლსასროლი



იარაღი, უნიფორმები, ა.შ.), ასევე ეფექტური დაცვისათვის ადმინისტრაციას გააჩნია ფოტოხაფანგები. თანამშრომლებს შეუძლიათ GPS-ების გამოყენება, თუმცა ყველა მათგანს არ აქვს საკმარისი გამოცდილება, თუ როგორ გამოიყენონ ისინი ეფექტურად. არსებობს მხოლოდ რეინჯერთა ერთი სადგური - ეროვნული პარკის საზღვარზე ჩაქვსა და ჩაქვისთავს შორის - და ეს საკმარისია დღეისათვის. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია განიცდის მაღალხარისხიანი რუკების ნაკლებობას დაცვის განყოფილების თანამშრომლებისთვის.

ბ) მუნიციპალიტეტებთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან დამყარებულია მეგობრული თანამშრომლობა. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე პირუტყვის მიერ ძოვების თავიდან ასაცილებლად რამდენიმე ბარიერი აშენდა. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დასყენა ნიშნები და სასაზღვრო ნიშნულები, რომელიც მოსახლეობას მიუთითებს ეროვნული პარკის საზღვრებსა და ტერიტორიებს, თუმცა საჭიროებს დამატებას. არსებობს რიგი სხვა საკითხები, კერძოდ:

გ) ბრაკონიერობის ინტენსივობა შემცირდა, მაგრამ არის შემთხვევები ბრაკონიერობის მცდელობის, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გადაშენების საფრთხის პირას მყოფი სახეობების პოპულაციებს.

დ) უკანონო ჭრებს იწვევს მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული საწვავი საშუალების არარსებობა და საშეშე მერქნის მცირე რაოდენობით ხელმისაწვდომობა.

### 3. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კვლევა და მონიტორინგი:

ა) ეროვნული პარკის ადმინისტრაციის რეინჯერები განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან ეროვნულ პარკში ცხოველთა შემდეგ სახეობებს: არჩვი, მურა დათვი, კვერნა, მაჩვი, შველი, მგელი, გარეული ტახი, ტურა, ზღარბი, წავი და ფოცხვერი. მონაცემები ამ სახეობათა არსებობის შესახებ უკავშირდება რეინჯერების მიერ მოპოვებულ ინფორმაციას და მოიცავს დაფიქსირებული ინდივიდების რაოდენობას (ფოტოხაფანგი, ვიზუალურად) ან კვალს.

ბ) ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგები. ჩამოსულ მეცნიერებთან მჭიდროდ თანამშრომლობენ ადმინისტრაციის თანამშრომლები, თუმცა ზოგიერთი კვლევითი საქმიანობის შედეგი დაკარგულია.

გ) ეროვნულ პარკში დამონტაჟებულია ცხრა ფოტოხაფანგი. მოპოვებული ფოტოები გვაწვდიან საინტერესო მასალას არა მხოლოდ ცხოველთა სახეობების არსებობის შესახებ (მურა დათვი, შველი და ა.შ.), არამედ ეროვნული პარკის წესების დამრღვევი ადამიანების, მათ შორის ბრაკონიერების შესახებ.

დ) ბათუმის ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლები თავიანთი სამეცნიერო საქმიანობიდან გამომდინარე (მაგ: ბზის დაავადება) აქტიურად თანამშრომლობენ ეროვნულ პარკთან. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ დამყარებულა მფიციალური ურთიერთობა ბათუმის ბოტანიკურ ბაღსა და მტირალას ეროვნულ პარკს შორის.

ე) ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების ცოდნა ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული სახეობებისა და მათი პოპულაციების მდგომარეობის შესახებ არასაკმარისია;

ე.ა) დეტალური ინვენტარიზაცია (ტყე, ფლორა, ფაუნა, ჰაბიტატები) არ არსებობს. მტირალას ეროვნული პარკის ფაუნისა და ფლორის სახეობების სიები შეიძლება ჩაითვალოს მეტნაკლებად სრულყოფილად, თუმცა არ განასხვავებს ეროვნული პარკის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთისგან;

ე.ბ) სახეობათა გამოვლენის დამადასტურებელი ინფორმაცია არასისტემატური დაკვირვებებიდან მომდინარეობს, ნაწილობრივ რეინჯერების მიერ კეთდება და ამიტომ შემოიფარგლება სახეობების შესახებ მათი ცოდნით (ძირითადად ეს არის მხოლოდ რამდენიმე სახეობის ძუძუმწოვარი). ზოგიერთ მონაცემს ფოტოხაფანგების ან სამეცნიერო კვლევების საშუალებით იღებენ;

ე.გ) მეთოდოლოგია მონიტორინგის, მონაცემთა შეგროვებისა და შესაფერისი კონსერვაციის შესახებ არადამაკმაყოფილებელია. ასევე არ არსებობს კვლევის მასალები და ტექნოლოგიები (მაგ: შესაფერისი მონაცემთა ბაზები);

ე.დ) მონაცემები არ არსებობს პოპულაციების მდგომარეობის შესახებ - აღნიშნული ინფორმაცია საჭიროა სულ მცირე საქართვლოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებისთვის;

ე.ე) ყველაზე სრულყოფილი მონაცემები არის ძირითადად ბათუმის ბოტანიკური ბაღის და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ წარმოებული. არც ეს აღნიშნული მონაცემებია დეტალური იმისათვის, რომ მოხდეს ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების ადეკვატური აღწერა;

ე.ვ) საქართველო იმყოფება ჰაბიტატების კლასიფიცირების პროცესში EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით, რათა გამოვლინდეს პრიორიტეტული ჰაბიტატების კონსერვაციის საიტები ევროკავშირის ორი ბუნების დირექტორის (ჰაბიტატების დირექტორისა და ფრინველების დირექტორი), აგრეთვე დაცული ტერიტორიების



ზურმუხტის შესახებ ბერნის კონვენციის თანახმად. ეროვნულ დონეზე, როგორც განსაზღვრის საფუძველი, მიმდინარეობს მუშაობა წინაპირობების შესაქმნელად (მონაცემთა ბაზები და მონიტორინგის მონაცემები).

ვ) ასევე არადამაკმაყოფილებელია ცოდნა ჰაბიტატების გავრცელებისა და მდგომარეობის შესახებ;

ვ.ა) ბოლო ტყის ინვენტარიზაციის ინფორმაცია მოძველებულია. ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია ძირითადად საჭიროა ტრადიციული გამოყენების ზონისათვის, სადაც ნებადართულია ხე-ტყის მოჭრა. ამ სიტუაციაში, მანამ სანამ განხორციელდება ტყის დეტალური ინვენტარიზაცია, საჭიროა განხორციელდეს შეფასება ხე-ტყის დასაშვები ჭრის შესახებ ტყის ინდივიდუალურ მონაკვეთებზე.

ვ.ბ) ეროვნული პარკისთვის და მისი მიმდებარე ზონისთვის მცენარეულობის რუკა შემუშავდა ეროვნული პარკის შექმნის დაგეგმარების პერიოდში. როგორც ერთ-ერთი მცირე ინფორმაციათაგანი ეროვნული პარკის შესახებ, იგი ხელმისაწვდომია GIS პროგრამის ფენის სახით.

4. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაძლებლობები:

ა) საბაზისო ინფორმაცია და მონიტორინგი, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა მონაცემების შეგროვებისა და მონიტორინგისთვის. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია დაბალი ხელფასით და შესაბამისად პერსონალის დენადობით. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის საშტატო ნუსხაში არ არსებობს ბოტანიკოსის, ზოოლოგისა და ასევე სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს სპეციალისტთა კადრები.

ბ) ინვაზიური სახეობები: ზოგიერთი ინვაზიური სახოება გვხვდება მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში (*Spiraea japonica*, *Paspalum dilatatum* and *Robinia pseudacacia*). მიუხედავად ამისა, კოლხური ტყე საკმაოდ სტაბილურად გამოიყურება, იმისათვის რომ ბუნებრივად ხელი შეუშალოს არაადგილობრივი სახეობების შეღწევას და შესაბამისად ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ისინი გავრცელებული არაან მხოლოდ რამდენიმე ბილკის გასწრივ. ვინაიდან ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მცენარეულობის ინვაზიური ქცევის ნატურალიზაციის ეტაპი, უნდა განხორციელდეს ამ სახეობების გავრცელების მონიტორინგი. ეროვნულ პარკში არსებული ბზის (*Buxus colchica*) ტყეები დაზიანებულია სხვადასხვა დაავადებებითა და პათოგენებით, როგორიცაა ნიადაგის ფიტოპათოგენი (phytopathogen) -ფიტოფთორა (*phytophthora genus*), რომელიც იწვევს ფესვების ლპობას, ასევე სოკოვანი დაავადება-*Cylindrocladium buxicola*, რომელიც იწვევს ბზის დაზიანებას და მუხლუხა - *Cydalima perspectalis*. სხვადასხვა კვლევა ჩატარდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დაფიქსირდა ბზის ხეების გაზრდილი სიკვდილიანობა 1990-იანი წლების ბოლოს. დღესდღეობით ეროვნულ პარკში ბზის 70%-ზე მეტი დაზიანებულია და თითქმის მთლიანი ბზის პირველყოფილი ტყე მძიმედაა დაავადებული. ტყის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით არ არსებობს მიზანშეწონილი მართვის ურთიერთქმედება დარჩენილი ტყის გადასარჩენად, რადგან ფუნგიციდებისა და ინსექტიციდების მასშტაბური გამოყენება (მაგ: საპარკო შეწამვლის მეთოდით) არ არის ტექნიკურად შესაძლებელი და იმედის მომცემი, ისევე როგორც არ არის სასურველი ყველა სხვა სოკოსა და მწერებზე დამღუპველი გავლენის გამო. ქიმიური დამუშავება წარმატებით განხორციელდა მცენარეთა სანერგესა და პარკის ლანდშაფტებზე, სადაც თითოეულ მცენარეს შეიძლება უმცურნალონ ინდივიდუალურად მაგრამ არა ბუნებრივ ტყეებში. მენეჯმენტის ღონისძიებები შეზღუდულია და ფოკუსირება უნდა მოხდეს შემდგომი კვლევების ჩატარებაზე, რათა მოხდეს გენეტიკურად რეზისტენტული მცენარეული მასალის იდენტიფიცირება. კვლევები ამ თემაზე დაფინანსდა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის აღმოსავლეთის ქვეყნების სატყეო სექტორში კანონადსრულებისა და მართვის II პროგრამის ფარგლებში; Matsiakh, I. (2014) ტყის მავნებლების შეფასება და დაავადებები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, დასკვნითი ანგარიში. ENPI FLEG EAST II.

გ) წაბლის ხეებს (*Castanea sativa*) აზიანებს სხვა დაავადებები, როგორიცაა სოკოვანი დაავადება - *Cryphonectria parasitica*.

დ) ადამიანსა და მტაცებელს შორის კონფლიქტი: ინფორმაცია ამ პრობლემის შესახებ არაა სანდო. მურა დათვის მიერ დაფიქსირდა თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა პირუტყვსა და ფუტკრის სკებზე. სოფლის მოსახლეობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 145 ასეთი შემთხვევა მოხდა მტირალას ეროვნულ პარკში და მის შემოგარენში 2011-2013 წლებში. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო პირუტყვზე 2011 წელს და ფუტკრის სკების 12 შემთხვევა, რომლებიც განადგურდა მურა დათვის მიერ სოფელ ჩაქვისთავში 2013 წელს, რაც დადასტურებულია რეინჯერის მიერ.

ე) მენეჯმენტის სტრატეგიები:

ე.ა) მონაცემთა შეგროვების და მონიტორინგის მეთოდები უნდა იყოს შედგენილი და განხორციელებული, როგორც ყოველდღიური რუტინული საქმინობა ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის;

ე.ბ) ფლორის, ფაუნისა და ჰაბიტატების დეტალური ინვენტარიზაციის სტრატეგია უნდა შეიქმნას;

ე.გ) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყინების საზრაოგანია უნდა შეიქმნას ეროვნული პარკის ტრადიციული



გამოყენების ზონაში, რომელმაც ძირითადად უნდა განსაზღვროს წლიური დასაშვები ჭრების ოდენობა;

ე.დ) მტაცებლების (მურა დათვი, მგელი და ფოცხვერი) მიერ გამოწვეული ზიანის შემცირებისა და პრევენციის სტრატეგია უნდა შემუშავდეს;

ვ) მერქნიან მცენარეთა საბაზისო კვლევა;

ვ.ა) ზუსტი ინფორმაციის ნაკლებობა;

ვ.ბ) კვლევის განხორციელებისთვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობის ნაკლებობა (მაგ: GPS მიმღებები, ზუსტი რუკები, მეთოდოლოგია).

## მუხლი 25. კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და სამზარეულო

1. ეროვნული პარკის გარშემო არსებული თემების კულტურა, ტრადიციები და სამზარეულო მიმზიდველია ვიზიტორებისთვის. სოფლის ზოგიერთმა მაცხოვრებელმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა და ვიზიტორებს შესთავაზა დამის გათევის მომსახურება, ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვა და ერთ შემთხვევაში გაიხსნა რესტორანი, რომელიც მნახველს სთავაზობს ტრადიციულ კერძებს. თუმცა ამ პროდუქციისა და სერვისების ხარისხსა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებობს რიგი პრობლემები:

ა) ადგილობრივ მოსახლეობაში არ არსებობს სამეწარმეო კულტურა, ძირითადად თუ როგორ უნდა მოახდინოს ტერიტორიის, პროდუქტებისა და სერვისების მარკეტინგი (ეს ეხება ადგილობრივი პროდუქტების შეფუთვასაც);

ბ) საკვები პროდუქტების უსაფრთხოების სტანდარტები ყოველთვის არაა დაცული;

გ) სერვისების ხარისხი ხშირად არ შეესაბამება ვიზიტორების მოლოდინს;

დ) ადგილობრივი პროდუქციის მარკეტინგი და გაყიდვა არ არის კარგად ორგანიზებული.

2. ისტორიისა და კულტურის შესახებ ცნობები არა არის საკმირისი. არ არსებობს ინფორმაცია ზოგიერთი ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ. ისტორიული წყაროებიდან ცნობილი ზოგიერთი მახასიათებელი, ჯერ კიდევ არ არის ადგილზე გამოვლენილი და შესწავლილი.

## მუხლი 26. ეკოგანათლება

1. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების მართვა:

ა) ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ახორციელებს ეკოსაგანმანათლებლო პროგრამებს, რომლის ფარგლებშიც ეროვნული პარკის ადმინისტრაცია რეგულარულად ატარებს ეკოსაგანმანათლებლო ლექციებს და სემინარებს საჯარო სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ხვდება მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობას. ამ აქტივობების მთავარი მიზანია ეროვნული პარკის დაარსების მიზნის განმარტება და ადამიანებისთვის ეროვნული პარკის ღირებულებების გაცნობა.

ბ) დასუფთავების აქციები რეგულარულად ეწყობა ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ. ყოველწლიურად ადმინისტრაცია აწყობს რამდენიმე დასუფთავების აქციას. ტურისტული რუკების და ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება რეგიონში არსებულ სასტუმროებში.

გ) ხდება ეკოტურებისა და ეკობანაკების ორგანიზება სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისა თუ ახალგაზრდების სხვა ჯგუფებისათვის. ღონისძიებები ხორციელდება სკოლებისა და საზოგადოებისთვის მწვანე კალენდრის მიხედვით. დისკუსიები ჩაწერილი ეკოთამაში და საინფორმაციო ბუკლეტი გამოიცა 2012 წელს და დაურიგდა პარტნიორებს.

2. ეკოგანათლებასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაძლებლობები:

ა) არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია ეროვნული პარკის როგორც ეკოგანათლებისთვის შესაფერისი ადგილის შესახებ;

ბ) ეკოგანათლების კულტურა რეგიონში ძალიან ზოგადია (წიგნების, სახელმძღვანელოების ნაკლებობა);

გ) ეროვნულ პარკში ექსკურსიების ნაკლებობა (ექსკურსიები, როგორც წესი, მხოლოდ ეროვნული პარკის გარეთ არსებულ კულტურულ ძეგლებზე ეწყობა);



დ) ადმინისტრაციას სჭირდება მეტი რესურსი ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებების განსახორციელებლად. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები ამჟამად ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტის პასუხისმგებლობაა. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება და განხორციელება მოითხოვს სპეციალურ უნარებს და პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შესაბამის კვალიფიციურ სპეციალისტს;

ე) ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებების მრავალფეროვნების ნაკლებობა, მაგ: ბუნების შემეცნებითი თამაშები.

## მუხლი 27. წვლილის შეტანა ადგილობრივ ეკონომიკაში

1. ადგილობრივ ეკონომიკაში ეროვნული პარკის მიერ წვლილის შეტანა ხდება ტურიზმის განვითარების მეშვეობით, რომლებიც იყენებენ ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მიერ წარმოებულ პროდუქტებსა და შეთავაზებულ სერვისებს.

2. ადმინისტრაციის შესაძლებლობები, შეიტანოს წვლილი ადგილობრივ ეკონომიკაში შემოიფარგლება ტურიზმის, რეკრეაციისა და ადგილობრივი პროდუქტების მარკეტინგით მტირალას ეროვნული პარკის ბრენდის სახელის გამოყენებით.

3. არასამთავრობო ორგანიზაციამ „მთა-ბარი“ დაარსა თაფლის მწარმოებელთა ქსელი, რომელიც ემსახურება ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებს. თაფლი იყიდება სხვა ადგილობრივ პროდუქტებთან ერთად ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან მდებარე პატარა მაღაზიაში.

4. ყოველ წელს 2012 წლიდან მოყოლებული ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ატარებს სოციალურ-ეკონომიკურ გამოკითხვებს ადგილობრივ მოსახლეობას შორის. კითხვარი შეიცავს ადგილობრივი ეკონომიკისა და ეროვნული პარკის დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ კითხვებს. რესპონდენტების მიერ კითხვარებზე გაცემული პასუხები არათანმიმდევრულია და შესაძლოა, რომ ისინი არ ასახავდეს არც მათ აზრებს და არც რეალობას. დამატებით, შედეგები სათანადოდ არაა დამუშავებული და მონაცემთა ნაწილი დაკარგულია. კვლევის შედეგები ნაკლებად ფასეული და საიმედოა. არ არსებობს მტირალას ეროვნული პარკის მიერ ადგილობრივ ეკონომიკაში შეტანილი წვლილის რაოდენობრივი მონაცემები.

## მუხლი 28. ტურიზმი და რეკრეაცია

1. მტირალას ეროვნული პარკის შექმნიდან, პარკის ადმინისტრაციამ პარტნიორებთან თანამშრომლობით შექმნა ინფრასტრუქტურა და სერვისების ფართო სპექტრი, როგორიცაა:

ა) ვიზიტორთა ცენტრი ღამის გასათევი ოთახებით, საგამოფენო დარბაზითა და სამზარეულოთი (აშენდა 2008 წელს). საბანკე ადგილებისა და სხვა ტურისტული აღჭურვილობის (საძილე ტომრები, ზურგჩანთები, პარალონები, კარვები) შეთავაზება;

ბ) მოწყობილია ორი ბილიკი, რომელიც მარკირებულია და განთავსებულია საინფორმაციო დაფები. ბილიკი ჩაქვისთავიდან მიუყვება ერთი ჩანჩქერამდე „წაბლნარის მარშრუტი“ და მეორე - ტურისტული თავშესაფრისკენ „ცივწყაროს მარშრუტი“

გ) ტურისტული თავშესაფარი (აშენებულია 2011 წელს) და მოწყობილია რამოდენიმე ადგილზე საპიკნიკე;

დ) „ზიპლაინი“;

ე) „კანიონინგი“;

ვ) საინფორმაციო მასალები და ბროშურები ეროვნული პარკის შესახებ.

2. ადგილობრივი მოსახლეობა ვიზიტორებს სთავაზობს რამდენიმე მომსახურებას ეროვნული პარკის შემოგარენში, როგორიცაა:

ა) საოჯახო ტიპის სასტუმროები;

ბ) რესტორნები;

გ) გიდის მომსახურება;

დ) საცხენოსნო სერვისი;

ე) სამთო ველოსიპედების გაქირავება;



3) ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვა.

ზ) 2014 წელს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტმა ჩაუტარა ტრენინგები ზოგიერთ ადგილობრივ მოსახლეს პროექტის მიერ დამონტაჟებული „ზიპლაინისა“ და „კანიონინგის“ მარშრუტის ფუნქციონირების შესახებ.

3. ეროვნული პარკისა და ტურიზმის ინფრასტრუქტურის დაარსებიდან, ეროვნული პარკის ადმინისტრაცია აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას პრეზენტაციებისა თუ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მეშვეობით (მაგ: 2012 წელს სპეციალური პრეზენტაცია მომზადდა და წარედგინა 24 ტურ-სააგენტოს, ხოლო 2013 წელს - ასევე უურნალისტებს ბელორუსიდან და უკრაინიდან). პრეზენტაცია ეროვნული პარკის შესახებ რეგულარულად ეწყობა ტურიზმისა და სასტუმრო მომსახურების საკითხებზე გამართულ ექსპო-ბათუმის საერთაშორისო გამოფენაზე.

4. ზოგიერთი ადგილობრივი ტურისტული სააგენტო აწყობს ერთდღიან ტურებს ტრანსპორტითა და გიდის თანხლებით მტირალას ეროვნულ პარკში. მომხმარებელთა უმრავლესობას წარმოადგენენ ტურისტებს პოლონეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და სომხეთიდან.

5. 2010 წლიდან ჩაქვისთავში არსებულ ვიზიტორთა ცენტრში ვიზიტორებს სთხოვენ კითხვარის შევსებას. 2010 წელს კითხვარი შეავსო 51-მა ვიზიტორმა, 2011-ში – 94-მა, 2012-ში – 350-მა, ხოლო 2013-ში – 250-მა ვიზიტორმა. სამწუხაროდ, პასუხების ნაწილი დაკარგულია, 2010-2011 წლების კვლევების ზოგიერთი შეკითხვა განსხვავდებოდა და ამიტომ შეუძლებელია კვლევის მთლიანი პერიოდის ფარგლებში შედარების გაკეთება. კიდევ ერთი კვლევა განხორციელდა ტურისტულ სააგენტოებს შორის 2013 წელს.

6. ფაქტები და რიცხვები ვიზიტორთა შესახებ:

ა) ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ჩაქვისთავში არსებული ვიზიტორთა ცენტრის ჩანახმად, ვიზიტორთა რაოდენობა 2010-2013 წლების პერიოდისთვის ნაჩვენებია VI ცხრილში. ამ რიცხვებიდან გამომდინარე ნათელია, რომ უცხოელთა თანაფარდობა განუწყვეტლივ იზრდება (6% – 13% – 15% – 25%). 2013 წელს ვიზიტორთა 10-15 %-მა ღამე გაათია ადგილზე (ჩვეულებრივ 2-3 ღამე). ძირითადი ტურისტული სეზონის დროს დაახლოებით 25 ადამიანი ყოველდღიურად სტუმრობს პარკის ადმინისტრაციის სათაო ოფისს ჩაქვში, მაგრამ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად დაბალია სეზონის შემდგომ პერიოდში. ეროვნული პარკის სხვა ადგილებში არ არსებობს სანდო ინფორმაცია ვიზიტორთა შესახებ, რადგან მათი აღრიცხვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ეროვნული პარკის რეინჯერები ხვდებიან პატრულირების დროს.

#### ცხრილი 6. ვიზიტორთა რაოდენობა მტირალას ეროვნულ პარკში

	2010	2011	2012	2013	2014
საქართველოს მოქალაქეები	14,461	16,803	18,731	12,353	16763
უცხოელები	889	2,597	3,219	4,100	6205
<b>სულ</b>	<b>15,350</b>	<b>19,400</b>	<b>21,950</b>	<b>16,453</b>	<b>22968</b>

ვიზიტორების აღრიცხვა სისტემატურად ხდება ჩაქვისთავის ვიზიტორთა ცენტრში. ცხრილში მოცემული რიცხვები მოიცავს ასევე რეინჯერების მიერ სხვადასხვა ადგილიდან მოწოდებულ არასისტემურად შეკრებილ მონაცემებს.

ბ) ვიზიტორთა შორის ჩატარებული გამოკითხვიდან მიღებული მონაცემების თანახმად ეროვნულ პარკში ვიზიტის ძირითად მოტივაციას წარმოადგენს ლაშერობა ველურ ბუნებაში (44 %). 42%-ს ურჩევნია ფეხით გასეირნება მანქანებისა და ცხენების გამოყენების გარეშე. გამოკითხულთა 39%-ს ურჩევნია კარავში ღამის გათენება, 28 %-ს – სააჯახო ტიპის სასტუმროებში, ხოლო 20%-ს ვიზიტორთა ცენტრში. გამოკითხულთა 65%-მა უპასუხა, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა არის კარგი და არ საჭიროებს გაუმჯობესებას. ვიზიტორთა უმრავლესობამ ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაცია მიიღო ინტერნეტის საშუალებით ან პირადი რეკომენდაციით (ორივე თანაბრად 32%), 13%-მა ტელევიზიის ან რადიოს სამუალებით. კვლევის შედეგების მიხედვით, ეროვნული პარკის ტიპური ვიზიტორი არის 26-დან 35 წლამდე, რომელიც მოგზაურობს მეგობრებთან ერთად ფეხით და უპირატესობას ანიჭებს უბრალო, მაგრამ სრულყოფილად განვითარებულ ინფრასტრუქტურას.



7. სერვისებისა და შეთავაზებების გამოყენების დონე:

ა) ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ვიზიტორებსა და ტურიზმით დაინტერესებულ პარტნიორებს რეგულარულად სთავაზობს ბუკლეტებს. 2012-2014 წწ. რაოდენობა მოცემულია VII ცხრილში.

**ცხრილი 7. მტირალას ეროვნული პარკის შესახებ დარიგებული ბუკლეტების რაოდენობა**

წელი	ბუკლეტების რაოდენობა
2012	11500
2013	3590
2014 (I.-VI.)	3700

2012 წლამდე ბუკლეტები გაიცემოდა უფასოდ, ხოლო 2013 წლის მეორე ნახევრიდან ბუკლეტები გახდა ფასიანი (2 ლარი)

ბ) ჩაქვისთავის ვიზიტორთა ცენტრში სხვადასხვა სერვისის შეთავაზება ხდება. სერვისებით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობის აღრიცხვა ხორციელდება შემოსული თანხის მიხედვით, თუმცა მომხმარებელთა ზუსტი სტატისტიკა არ არის ცნობილი. მე-8 ცხრილში ნაჩვენებია 2011-2013 წლების მონაცემები („სასტუმრო ოთახი“ იგივე შემოსავალს აღნიშნავს, რაც შემდგომში მოხდა საიჯარო ხელშეკრულების გზით („იჯარა“)).

**ცხრილი 8. სერვისებით სარგებლობა ჩაქვისთავის ვიზიტორთა ცენტრში (ლარებში, ბოლო მარჯვენა სვეტის გამოკლებით)**

	2011	2012	2013	2014	2014 მომხმარებელთა რაოდენობა
კარავი	17	40	210	166	83
საძილე ტომარა	0	66	227	212.84	42
ზურგჩანთა	5	10	0	0	0
კვადროციკლი	70	0	0	0	0
საპინიკე ადგილი	400	520	600	2410	2000
საბანაკე ადგილი	160	130	273	908	540
ტურისტული თავშესაფარი	0	525	255	725	48
სასტუმრო ოთახი	3,950	1,700	0	1480	58
იჯარა	0	1,389	2,953	0	



Zip-line	0	0	0	2115	141
<b>სულ</b>	<b>4,602</b>	<b>4,591</b>	<b>4,550</b>	<b>8016.84</b>	

გ) არ არსებობს ინფორმაცია როგორც სხვა ორგანიზაციების, ასევე არც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეთავაზებული სერვისებით სარგებლობის ინტენსივობის შესახებ.

#### 8. ვიზიტორთა სერვისების მართვა:

ა) ეროვნული პარკის ადმინისტრაციული განყოფილება პასუხისმგებელია ვიზიტორთა სერვისების განვითარებასა და მართვაზე. აღნიშნულ განყოფილებაში არის ვიზიტორთა მომსახურების მხოლოდ ერთი სპეციალისტი. ადმინისტრაციული განყოფილების ვიზიტორთა მიმართულების ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობებია:

- ა.ა) სრული პასუხისმგებლობის აღება ვიზიტორთა პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე;
- ა.ბ) ვიზიტორთა პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით წინადადებების შემუშავება და ვიზიტორების ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მონიტორინგი და მოვლა-შენარჩუნება;
- ა.გ) ეკოტურისტული სერვისებით ტურისტების უზრუნველყოფა დაცულ ტერიტორიაზე;
- ა.დ) პარკის ადმინისტრაციის ვიზიტორთა ცენტრის მართვა;
- ა.ე) საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება;
- ა.ვ) სტატისტიკის წარმოება.

#### 9. ტურიზმთან და ვიზიტორთა სერვისებთან დაკავშირებული პრობლემები და შესაძლებლობები:

ა) ზოგიერთი ობიექტისა და სერვისის სტანდარტი არაა მაღალი;

ბ) რთული მისასვლელი გზა:

ბ.ა) ჩაქვიდან ჩაქვისთავმდე მიმავალი 15 კმ-იანი გზის მონაკვეთის მხოლოდ 10 კმ-ია ჯერჯერობით დაგებული. ეროვნულ პარკში მიმავალი სხვა მისასვლელი გზა არ არსებობს. პარკირების ადგილები არ არის არც ჩაქვისთავში, გარდა ვიზიტორთა ცენტრის გვერდით მდებარე შეზღუდული პარკინგის ადგილებისა და არც ეროვნული პარკის საზღვრების მახლობლად;

ბ.ბ) სოფელ ჩაქვისთავს მხოლოდ ზაფხულის სეზონზე ემსახურება ერთი ავტობუსი. სეზონის დასრულების შემდეგ კი ტრანსპორტირება მხოლოდ კვირის ზოგიერთ დღეს ხორციელდება. სხვა არანაირი საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მიდის ეროვნულ პარკში;

გ) ეროვნული პარკის თანამშრომლებს და ადგილობრივ მოსახლეობას უცხო ენების ცოდნის პრობლემა აქვთ;

დ) კვალიფიციური გიდების ნაკლებობა;

ე) ეროვნული პარკის შესახებ საინფორმაციო მასალის, მათ შორის რუკების ნაკლებობა;

ვ) არსებობს მარკირებული ტურისტული ბილიკების რაოდენობის გაზრდის საშუალება ჩაქვისთავისა და კინტრიშის დამაკავშირებელი გზის ჩათვლით;

ზ) სუვენირების / საჩუქრების მაღაზიების ნაკლებობა;

თ) სერვისების ინტერნეტით დაჯავშნის სისტემის არარსებობა;

ი) ტურისტული ინფრასტრუქტურა ჯერჯერობით მხოლოდ ჩაქვისთავში და მის შემოგარენში გვხვდება, ვიზიტორთათვის სხვა ინფრასტრუქტურა არ აშენებულა ეროვნული პარკის მიდამოებში.



### მუხლი 29. მტირალას ეროვნული პარკის ფუნქციონალური ზონირება

მტირალას ეროვნული პარკის განსაკუთრებული თვისებების, მათი ამჟამინდელი მდგომარეობის, მათზე ზემოქმედების და არსებული მენეჯმენტის გეგმის შემუშავებამდე მოქმედი ფუნქციონალური ზონების გათვალისწინებით მტირალას ეროვნული პარკის ფუნქციონალური ზონები უნდა იყოს შემდეგი: (მტირალას ეროვნული პარკის ზონირება დატანილია რუკაზე დანართში 2.)

#### ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა

ა.ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა შექმნილია იმ ხელუხლებელი ბუნებისა და ჰაბიტატის შესანაჩუნებლად, რომლებიც ძალიან ახლოს არიან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობასთან, ასევე არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევებისა და ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების ჩასატარებლად. ზონა შედგება ეროვნული პარკის იმ ნაწილებისგან, რომლებზეც ანთროპოლოგიური ზეგავლენა ძალიან უმნიშვნელოდ იყო. ეს ზონა წარმოადგენს იშვიათი, ხელუხლებელი ეკოსისტემების (წიფლნარების), იშვიათი ან გადაშენების პირას მისულ ცხოველთა და მცენარეთა ძირითად ჰაბიტატებს, ცხოველთა ასეთ სახეობებს განკუთვნებიან: მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx Lynx*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*). მცენარეებს შორის გვხვდება ურთხელი (*Taxus baccata*), წაბლი (*Castanea sativa*), კაკალი (*Juglans regia*), ბზა (*Buxus colchica*), ეპიგეა (*Epigaea*) და *Rhododendron ungernii*.

#### ბ) ვიზიტორების ზონა

ბ.ა) ვიზიტორების ზონა ეწყობა გარემოს დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ეს ზონა მოიცავს ტერიტორიებს, რომლებმაც განიცადეს მეტნაკლები ცვლილებები ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ არ არის დაშვებული ხის ჭრა და სადაც წარმოდგენილია ეკოსისტემის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიმუშები. საჭიროებისამებრ, შესაძლოა მოხდეს აღდგენა ან კონსერვაციის მართვა. ამ ზონაში მდებარეობს ვიზიტორებისთვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილები, როგორიცაა: მაღალი სარეკრეაციო ღირებულებისა და ხელმისაწვდომი ბუნებრივი მახასიათებლებით გამორჩეული ადგილები. ვიზიტორთათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა არის პრაქტიკული, ადვილად გამოსაყენებელი, კონტროლის ქვეშ და მოვლილი, ამავდროულად – მრავალფეროვანი და მიმზიდველი. ამ ზონაში ასევე შედის ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა ცხოველების ჰაბიტატებს და სამიგრაციო ბილიკებს.

#### გ) ტრადიციული გამოყენების ზონა

გ.ა) ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა გარემოს დაცვის, ასევე განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციული გამოყენების მიზნით. ზონა მოიცავს ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ შეშის მოგროვების, საძოვრისა და თხილის თუ კენკრის შეგროვებისთვის. აღდგენითი ღონისძიებები შესაძლოა განხორციელდეს იმ ტერიტორიებზე, სადაც ადგილი ჰქონდა ადამიანის ჩარევას, რათა მოხდეს ეკოსისტემების მათვის დამახასიათებელი ბუნებრივი გზით განვითარების ხელშეწყობა. შეიძლება განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში კონსერვაციის მენეჯმენტი. ყველა ამ საქმიანობის განხორციელება, გარკვეული ლიმიტირების ფარგლებში, ნებადართულია ტრადიციული გამოყენების ზონაში.

### მუხლი 30. მტირალას ეროვნული პარკის ფუნქციონალური ზონების ტერიტორია და საზღვრები

მტირალას ეროვნული პარკის ფუნქციონალური ზონებია:

ა) მკაცრი დაცვის ზონა - 2452,0 ჰა;

ბ) ტრადიციული გამოყენების ზონა - 5133,5 ჰა;

გ) ვიზიტორების ზონა - 8022,8 ჰა.

### მუხლი 31. მტირალას ეროვნული პარკის ზონებში დაშვებული საქმიანობა

1. ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკძლულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევის, მონიტორინგისა და ინვენტარიზაციისა;

ბ) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისა;



გ) დაცვის ღონისძიებების გატარების (დაცვის ინფრასტრუქტურის, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, მავნებლებთან და დაავადებებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა).

2. ვიზიტორთა ზონაში აკძლულია ყოველგვარი საქმიანობა გარდა:

ა) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაცია, მოვლა და აღდგენა;

ბ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური სისტემის დაცვა და მონიტორინგი; ტყის ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა;

გ) სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი;

დ) გარემოს მონიტორინგი და კვლევა, საჭირო აპარატურის დაყენების ჩათვლით;

ე) საგანმანათლებლო საქმიანობა;

ვ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო - მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ზ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელება;

თ) ვიზიტორებისთვის კონტროლირებადი და რეგლამენტირებული დაშვება, ფეხით, ცხენით, ველოსიპედით, თოვლის ფეხსაცმელების გადაადგილება ძირითად ბილიკებზე. გადაადგილება ნაწილობრივ სახეშეცვლილი ბუნების ტერიტორიაზე, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;

ი) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მოვლა და სარგებლობა;

კ) ხილ-კენკროვნებისა და სოკოს შეგროვება მხოლოდ ვიზიტორთა პირადი მოხმარების მიზნით;

ლ) ფუტკრის სკების განთავსება, თუ იგი არ იწვევს სხვა საქმიანობის შეფერხებას. ფუტკრის სკების განთავსების შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მცენარეების მოჭრა, ნიადაგის ზედაპირის მოსწორება ან დამუშავება, დროებითი შენობა ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის განთავსება და სხვა. ასევე სკების განთავსების ადგილები დაშორებული უნდა იყოს ძირითადი ტურისტული მარშრუტებიდან იმ მანძილზე, რომ საფრთხე არ შეექმნას ვიზიტორთა გადაადგილებას.

მ) დაცვის ღონისძიებების გატარება (ხანძრებთან, მავნებლებთან და დაავადებებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა).

ნ) მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვდული სხვა საქმიანობები;

3. ტრადიციული გამოყენების ზონაში აკძლულია ყოველგვარი საქმიანობა გარდა:

ა) ტერიტორიის ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება;

ბ) არსებული ეკოსისტემის საზღვრებში გავრცელებული გარეული ცხოველების, მცენარეებისა და ჰაბიტატის სახეობების კონსერვაცია, დაცვა და აღდგენა;

გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური დაცვა და მონიტორინგი, დეგრადირებული ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ე) საგანმანათლებლო საქმიანობა;

ვ) ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება ადმინისტრაციისთვის შეთანხმებით, ადგილობრივი მოსახელეობისათვის ამ მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის დროს, ტურისტების გადაადგილებისას გამყოლის/გიდის თანხლებით, ადმინისტრაციისათვის სამსახურებრივი საჭიროებისას;

ზ) ვიზიტორებისთვის დასაშვებია ფეხით, ცხენებით, ველოსიპედებით გადაადგილება;

თ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა და შენარჩუნება;



ი) საკადასტრო ღონისძიებების განხორციელება;

კ) დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობის მიერ არამერქნული პროდუქტების გამოყენება მათი პირადი საჭიროებებისთვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ლ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;

მ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელება;

ნ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

ო) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირადი მოხმარების მიზნით ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობის, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობის, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობის, სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობის (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 10 მ<sup>3</sup>-მდე საშეშე მერქანი), ძოვებისა და თიბვის (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 27<sup>1</sup> მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა, ამ მენეჯმენტის გეგმის VI დანართში მოცემული რეკომენდაციების თანახმად.

პ) ფუტკრის სკების განთავსება, თუ იგი არ იწვევს სხვა საქმიანობის შეფერხებას. ფუტკრის სკების განთავსების შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მცენარეების მოჭრა, ნიადაგის ზედაპირის მოსწორება ან სხვა სახით დამუშავება. ასევე სკების განთავსების ადგილები დაშორებული უნდა იყოს მირითადი ტურისტული მარშრუტებიდან იმ მანძილზე, რომ საფრთხე არ შეექმნას ვიზიტორთა გადაადგილებას. სკების განთავსების დროს შესაძლოა მოეწყოს დროებითი ნაგებობა.

ჟ) ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა;

რ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება;

ს) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა აქტივობები.

## თავი VI მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

### მუხლი 32. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე

1. დაცული ტერიტორიების სააგენტო (სააგენტოს ცენტრალური აპარატი და მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია) პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე, მათი განხორციელების მონიტორინგსა და მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.

2. მენეჯმენტის გეგმა სრულდება ყოველწლიური საოპერაციო გეგმის საშუალებით. ყოველწლიური საოპერაციო გეგმა შემუშავებული იქნება სამწლიანი პერიოდისათვის, განახლდება ყოველწლიურად და მოიცავს დეტალურ განსახორციელებელ ქმედებებს, კონკრეტული ქმედებებისთვის შემუშავებული ბიუჯეტის ჩათვლით.

3. სააგენტო უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობასა და თანამშრომლობას გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში.

### მუხლი 33. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

1. სიტუაციურმა ანალიზმა გამოავლინა შვიდი სხვადასხვა საკითხი, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ მენეჯმენტის მიზნების პროგრამულ სტრუქტურას, ღონისძიებებსა და ზომებს, როგორიცაა:

ა) დაცვა-პატრულირება;

ბ) ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და კვლევა-მონიტორინგი;

გ) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;

დ) ეკოტურიზმი;



ე) ეკოგანათლება;

ვ) კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა;

ზ) ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-შენარჩუნება;

თ) ადმინისტრაციის თანამშრომლების და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება.

2. შემდეგი მუხლები განსაზღვრავენ პროგრამის მიზნებს მენეჯმენტის თითოეული პროგრამისათვის. ამ ღონისძიებებისა და საქმიანობების ჩამონათვალი წარმოადგენს „პარამეტრების კალათას“, რომელიც უნდა შედგეს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში. საგულისხმოა, რომ აღნიშნული სია არაა საბოლოო და უნდა შეივსოს და შესწორდეს, რათა მიღწეული იქნეს პროგრამის მიზნები.

#### მუხლი 34. დაცვა-პატრულირება

1. პატრულირებისა და დაცვის პროგრამა შეეხება შემდეგ საკითხებს:

ა) ეროვნული პარკის საკონსერვაციო ღირებულებების საფრთხეები რომლებიც გამომდინარეობს ბუნებრივი რესურსების უკანონო გამოყენებიდან, განსაკუთრებით გარეულ ცხოველებზე ბრაკონიერობისა და უკანონო ჭრებისგან;

ბ) ეროვნული პარკის დაცვისა და პატრულირების თანამშრომლების ადეკვატური ტრენინგისა და აღჭურვის უზრუნველყოფა.

2. პატრულირებასთან და დაცვასთან დაკავშირებული პროგრამის მიზნები შემდეგია:

№	მიზანი (რისი მიღწევა გვსურს მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზანი თუ არა)
პმ.1	ეფექტური პატრულირების შექმნა განსაზღვრულ ადგილებში.	<ul style="list-style-type: none"><li>შესაფერისი, დოკუმენტირებული პატრულირების პროგრამა არსებობს;</li><li>პატრულირების ანგარიშების არქივი არსებობს;</li><li>პატრულირების მონაცემები ადგილზე ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში.</li></ul>
პმ.2	დაცვის განყოფილების კვალიფიკაციის ამაღლება, რათა ეფექტურად განახორციელონ პატრულირება.	<ul style="list-style-type: none"><li>დაცვის განყოფილების თანამშრომლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები საველე აღჭურვილობის გამოყენებაში;</li><li>დაცვის განყოფილების თანამშრომლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სხვადასხვა უნარ-ჩვევის გასაუმჯობესებლად, სამუშაო აღწერილობიდან გამომდინარე.</li></ul>
პმ.3	საჭირო ინვენტარის / აღჭურვილობის შესყიდვა, მოვლა და შეცვლა.	<ul style="list-style-type: none"><li>პატრულირებისა და მონიტორინგისთვის ადეკვატური აღჭურვილობა ხელმისაწვდომია;</li><li>ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა აღჭურვილობის შენახვისა და ჩანაცვლებისთვის.</li></ul>
პმ.4	ეროვნული პარკის ტერიტორიის დაცვა ადამიანების, ტრანსპორტისა და პირუტყვის უკანონო შეღწევით გამოწვეული ზარალისგან.	<ul style="list-style-type: none"><li>უნებართვო შეღწევების შემთხვევების რაოდენობა შემცირებულია;</li></ul>



3. დაცვისა და პატრულირების პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ღონისძიებებისა და ქმედებების გატარება:

Nº	მიზანი (რისი მიღწევა გვსურს მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
პმ.1	ეფექტური პატრულირების დაგეგმვა განსაზღვრულ ადგილებში.	<ul style="list-style-type: none"> <li>საპატრულო პროგრამების შექმნა, რომლებიც განსაზღვრავს დროს, თუ როდის უნდა ჩატარდეს პატრულირება და რას უნდა მიაქციონ ყურადღება რეინჯერებმა.</li> <li>პატრულირების დაწერილი ანგარიშების გაცნობა, რათა ჩაიწეროს ყველა შესაბამისი ინფორმაცია პატრულირების დროს ჩატარებული დაკვირვევებიდან გამომდინარე.</li> <li>დასვენების დღეებსა და ღამე პატრულირებისათვის დაწესდეს სახელფასო დანამატი.</li> </ul>
პმ.2	დაცვის განყოფილების კვალიფიკაციის ამაღლება პატრულირების ეფექტურად განხორციელებისათვის.	<ul style="list-style-type: none"> <li>უნდა მოხდეს დაცვის განყოფილების თანამშრომელთა გადამზადება შემდეგი მიმართულებებით: ეფექტური კანონალსრულება, რაც დაკავშირებულია ბუნების კონსერვაციასთან, ეფექტური კომუნიკაცია, ჯარიმის დაკისრება, პირველადი დახმარება, ბუნებრივი მექანიზრების პრეზენტაცია საზოგადოებისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, GPS-მოწყობილობები, ფოტოხაფანგების გამოყენება და სხვა.</li> </ul>
პმ.3	საჭირო ინვენტარის / აღჭურვილობის შესყიდვა, მოვლა და შეცვლა.	<ul style="list-style-type: none"> <li>დაგეგმვა და ბიუჯეტის განსაზღვრა შესაბამისი აღჭურვილობებისათვის ყოველწლიური საოპერაციო გეგმის ფარგლებში;</li> <li>შემუშავდეს მოვლა-შენარჩუნების გრაფიკი არსებული აღჭურვილობებისათვის, მათ შორის საჭირო საბიუჯეტო უზრუნველყოფით და შესყიდვის მეთოდი ტექნიკური მომსახურებისთვის;</li> <li>გაუმჯობესდეს ტრანსპორტირების შესაძლებლობები რეინჯერებისთვის – სულ ცოტა ერთი 4WD ავტომობილი და ერთი კვადროციკლი თითოეული უბნის რეინჯერისთვის;</li> <li>განახლდეს, გაუმჯობესდეს და უზრუნველყოფილი იყოს გარე მოწყობილობები ყველა რეინჯერისათვის, მაგ: უფრო ეფექტური ფანარი, ციფრული კამერები, სათანადო ცეცხლსასროლი იარაღი თავდაცვისათვის, წყალგაუმტარი უნიფორმები, ჩექმები, ღამით ხედვის მოწყობილობები, პირველადი სამედიცინო დახმარების კომპლექტები, საველე სამზარეულოს კომპლექტი, ბინოკულები და ინსტრუმენტები ბილიკისა და ინფრასტრუქტურის</li> </ul>



		შენარჩუნებისთვის.
		<ul style="list-style-type: none"> <li>თავშესაფრების მოწყობა შესაფერის ადგილებში რეინჯერებისთვის ორ-დღიანი და ღამის პატრულირებისთვის.</li> </ul>
პმ.4	ეროვნული პარკის ტერიტორიის დაცვა ადამიანების, ტრანსპორტისა და პირუტყვის უკანონო შეღწევისგან გამოწვეული ზარალისგან	<ul style="list-style-type: none"> <li>შენარჩუნდეს ტყის ყველა გზა და ბილიკი კარგ მდგომარეობაში, რათა მოხდეს ეროზის თავიდან აცილება;</li> <li>რეგულარულად შემოწმდეს და შენარჩუნდეს ძოვების და ტრანსპორტის უკანონო შეღწევის საწინააღმდეგო ბარიერები;</li> <li>გაკეთდეს მანიშნებლები ეროვნული პარკის ყველა მირითად შესასვლელთან.</li> </ul>

### მუხლი 35. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და კვლევა

1. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და კვლევის პროგრამა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ა) ინფორმაციის ნაკლებობა ეროვნულ პარკში სახეობების გავრცელების შესახებ და შესაბამისად ეროვნული პარკის სხვადასხვა ნაწილების მნიშვნელობის შესახებ სახეობების კონსერვაციისთვის;
- ბ) ინფორმაციის ნაკლებობა სახეობათა პოპულაციებისა და ჰაბიტატების მდგომარეობის შესახებ;
- გ) სახეობათა პოპულაციებისა და ჰაბიტატების მდგომარეობის მონიტორინგისთვის სუსტი ან არარსებული გეგმები და მეთოდოლოგიები;
- დ) სახეობათა და ჰაბიტატების კონსერვაციის სტრატეგიების არარსებობა;
- ე) ეროვნული პარკის კონსერვაციული ღირებულებების საფრთხე უცხო ინვაზიური სახეობებისგან;
- ვ) ეროვნული პარკის კონსერვაციული ღირებულებების საფრთხე დაავადებებისგან.

2. სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებით შემდეგი ორი სტრატეგია უნდა იქნეს გათვალისწინებული:

- ა) ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს და მხარი დაუჭიროს ისეთ კვლევას, რომელიც დაეხმარება ადმინისტრაციას ეროვნული პარკის მიზნების მიღწევაში;
- ბ) დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ წება უნდა დართოს ისეთი სახის კვლევის ჩატარებას, რომელიც მიმართულია ცოდნის გაფართოებისკენ, თუმცა არ აქვს უშუალო კავშირი ეროვნული პარკის ამოცანებთან და, რაც არ ახდენს ნეგატიურ გავლენას ეროვნული პარკის ბუნებრივ ღირებულებებზე (განსაკუთრებით მკაფრი დაცვის ზონაში).

3. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და კვლევასთან დაკავშირებული პროგრამის მიზნები შემდეგია:

№	მიზანი (რისი მიღწევა გვსურს მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეულ იქნა მიზანი თუ არა)
პმ.5	ეროვნული პარკის ბუნებრივი მახასიათებლების და მათი საკონსერვაციო ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მოგროვება ხელმისაწვდომი და შესაფერისი ფორმით, რათა ხელი შეეწყოს ეროვნული პარკის სათანადო კონსერვაციასა და პოპულარიზაციას.	<ul style="list-style-type: none"> <li>მონაცემები არსებობს ყველა საჭირო ინვენტარიდან;</li> <li>ყველა მიღებული მონაცემისთვის შეიქმნა მონაცემთა ბაზა;</li> <li>ბუნებრივი ღირებულებების შესახებ არსებობს საკმარისი ინფორმაცია ეროვნული პარკის ეფექტური კონსერვაციისა და მხარდაჭირისათვის.</li> </ul>



პმ.6	საკვანძო ჰაბიტატების, სახეობებისა და სხვა საკონსერვაციო ინტერესის ფენომენთა კონსერვაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება.	<ul style="list-style-type: none"> <li>მონიტორინგისა და კვლევის მეთოდოლოგია შემუშავებულია;</li> <li>საკვანძო ჰაბიტატები და სახეობები განსაზღვრულია. საკონსერვაციო პროგრამები შემუშავებულია და განხორციელებული;</li> <li>თვალსაჩინო ხეები ინდენტიფიცირებულია და ხდება მათი მდგომარეობის მონიტორინგი.</li> </ul>
პმ.7	ბზის (Buxus Colchica) მდგომარეობის და სხვადასხვა დაავადების დინამიკის მონიტორინგი, რომლებიც აზიანებენ მას.	<ul style="list-style-type: none"> <li>ბზის დაავადებების შესახებ ჩატარდა შემდგომი კვლევები მტირალას ეროვნული პარკის ბზის ბუნებრივ ტყეებში.</li> <li>ეროვნული პარკის გენოფონდიდან გენეტიკურად რეზისტენტული მცენარეული მასალის მოძიება და გავრცელება (მაგ: ბათუმის ბოტანიკური ბაღი).</li> <li>• ბზის მონიტორინგის გეგმა შემუშავებული და განხორციელებულია.</li> </ul>
პმ. 8	ინვაზიური სახეობების მონიტორინგი.	<ul style="list-style-type: none"> <li>ინვაზიური სახეობების დოკუმენტირებული გეგმა არსებობს და ხორციელდება.</li> </ul>
პმ.9	კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის განვითარება.	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაფართოება.</li> </ul>
პმ.10	დაცულ ტერიტორიაში კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების (ბუნებაში შეგროვებული და სამკურნალო მცენარეების ჩათვლით) იდენტიფიკაცია და გეგმების შექმნა მათი კონსერვაციისთვის.	<ul style="list-style-type: none"> <li>კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების (ბუნებაში შეგროვებული და სამკურნალო მცენარეების ჩათვლით) გავრცელების რუკა და საკონსერვაციო გეგმები არსებობს.</li> </ul>

4. პროგრამის მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ღონისძიებებისა და

ქმედებების გატარება:

№	მიზანი (რისი მიღწევა გვსურს მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
პმ.5	ეროვნული პარკის ბუნებრივი მახასიათებლებისა და მათი საკონსერვაციო ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მოგროვება ხელმისაწვდომი და შესაფერისი ფორმით, რათა მოხდეს ეროვნული პარკის სათანადო კონსერვაციისა და	<ul style="list-style-type: none"> <li>განხორციელდეს ფაუნის, ფლორის, ჰაბიტატებისა და ტყის დეტალური ინვენტარიზაცია;</li> <li>სახეობების კატეგორიზაცია მათი საკონსერვაციო ღირებულების მიხედვით.</li> </ul>



პმ.6	საკვანძო ჰაბიტატების, სახეობებისა და სხვა საკონსერვაციო ინტერესის ფენომენთა კონსერვაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება.	<ul style="list-style-type: none"> <li>საკვანძო სახეობებისა და ჰაბიტატების საკონსერვაციო და მონიტორინგის პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების დაწყება.</li> <li>გამოვლინდეს ასაკითა და ზომით გამორჩეული ხეები და გატარდეს სპეციალური ზომები ამ ხეების მათთვის ხელსაყრელ, ჯანსაღ პირობებში კონსერვაციისთვის.</li> <li>კვლევისა და მონიტორინგის ჩატარება სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა - ინვაზიური უცხო სახეობები, კლიმატი და სხვა.</li> </ul>
პმ.7	ბზის ( <i>Buxus Colchica</i> ) მდგომარეობის და სხვადასხვა დაავადებების დინამიკის მონიტორინგი, რომლებიც აზიანებენ მას.	<ul style="list-style-type: none"> <li>ბზის დაავადებების კომპლექსური კვლევის შესაძლებლობების შესახებ მტირალას ეროვნული პარკის ბზის ბუნებრივ ტყეებში;</li> <li>შემუშავდეს და განხორციელდეს მონიტორინგის გეგმა ბზის (<i>Buxus colchica</i>) მდგომარეობისა და დაავადების დინამიკის შესახებ;</li> <li>იდენტიფიცირება რეზისტენტული მცენარეების დაავადებასთან მიმართებაში გენეტიკური გენოფონდის შენარჩუნებისთვის.</li> </ul>
პმ.8	ინვაზიური სახეობების მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>შემუშავდეს და განხორციელდეს ინვაზიური სახეობების მონიტორინგის გეგმა.</li> </ul>
პმ. 9	კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის განვითარება.	<ul style="list-style-type: none"> <li>გაძლიერდეს კონტაქტები უნივერსიტეტებსა და სხვა აკადემიურ ინსიტუტებთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღს. მოხდეს მათთვის საკვლევი თემების შეთავაზება და ხელი შეეწყოს კვლევით საქმიანობას.</li> </ul>
პმ.10	დაცულ ტერიტორიაში კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების (ბუნებაში შეგროვებული და სამკურნალო მცენარეების ჩათვლით) იდენტიფიკაცია და გეგმების შექმნა მათი კონსერვაციისთვის.	<ul style="list-style-type: none"> <li>კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების (ბუნებაში შეგროვებული და სამკურნალო მცენარეების ჩათვლით) შესწავლა, რუკაზე დატანა და გეგმების შექმნა მათი კონსერვაციისთვის.</li> </ul>

### მუხლი 36. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

1. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის განუწყვეტელი მოთხოვნა ხე-ტყესა და საშეშე მერქანზე;
- თაფლის წარმოების მნიშვნელობა როგორც შემოსავლის წყარო ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ეროვნული პარკის როლი თაფლის წარმოების შემდგომ განვითარებაში.



2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამის მიზნებია:

№	მიზანი (რისი მიღწევა გვსურს მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისათვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზანით არა)
პმ.11	ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების შეზღუდული გამოყენება, რათა მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ შეინარჩუნოს საცხოვრებელი პირობები.	<ul style="list-style-type: none"> <li>სოციალურ-ეკონომიკური კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობას აქვს ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განცდა.</li> </ul>
პმ.12	ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აქვს შესაძლებლობა შეაგროვოს და შეაფასოს ბუნებრივი რესურსების მოხმარების მონიტორინგისთვის საჭირო ყველა მონაცემი.	<ul style="list-style-type: none"> <li>ეროვნულ პარკში არსებობს GIS-ის მონაცემები და პროგრამა;</li> <li>არსებობს მონაცემთა შეგროვებისა და კონსერვაციის მართვის მეთოდოლოგიები.</li> </ul>

3. მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ქმედებების და აქტივობების

განხორციელება:

№	მიზანი (რისი მიღწევა გვსურს მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
პმ.11	ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების შეზღუდული გამოყენება რათა მიმდებარე სოფლების მოსახლეობამ შეინარჩუნოს საცხოვრებელი პირობები	<ul style="list-style-type: none"> <li>გაგრძელდეს შეშის გაცემა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტრადიციული გამოყენების ზონიდან მენეჯმენტის გეგმით დადგენილ ფარგლებში;</li> <li>სკების ჩადგმის წახალისება ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში.</li> </ul>
პმ.12	ეროვნული პარკის ადმინისტრაციას აქვს შესაძლებლობა შეაგროვოს და შეაფასოს ბუნებრივი რესურსების მოხმარების მონიტორინგისთვის საჭირო ყველა მონაცემი.	<ul style="list-style-type: none"> <li>შეიქმნას და განხორციელდეს სისტემა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვების, შენახვისა და ანგარიშის წარმოებისთვის.</li> </ul>

**მუხლი 37. ეკოტურიზმი**

1. ეკოტურიზმის პროგრამა შეეხება შემდეგ საკითხებს:

- არსებული ტურისტული შესაძლებლობების არაადეკვატური მოვლა-პატრონობა;
- სერვისის სუსტი სტანდარტები;
- პროდუქტებისა და სერვისების პოტენციური მომწოდებლების სუსტი სამეწარმეო კულტურა;
- ადგილობრივი პროდუქციის სუსტი მარკეტინგი და გაყიდვა;



ე) ეროვნულ პარკში ტურისტების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობები, რაც გაზრდის ეროვნული პარკის მხარდაჭერას და ადგილობრივი მოსახლეობის პოტენციალს, მიიღონ შემოსავალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებით.

2. ეკოტურიზმის პროგრამის მიზნები შემდეგია:

№	მიზანი (რისი მიღწევა გვსურს მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	ინდიკატორები (რა უნდა გაიზომოს ან შემოწმდეს იმისთვის, რომ გავიგოთ, მიღწეული იქნა მიზნებით არა)
პმ.13	არსებული შესაძლებლობების, პროდუქციისა და სერვისების გაუმჯობესება.	<ul style="list-style-type: none"> <li>არსებული შესაძლებლობების, პროდუქციისა და სერვისების სტანდარტი დამაკმაყოფილებელია;</li> <li>ვიზიტორები გამოხატავენ კმაყოფილებას შესაძლებლობებით, პროდუქციითა და სერვისებით.</li> </ul>
პმ.14	დამატებითი შესაძლებლობების, პროდუქციისა და სერვისების შექმნა კონცეფციის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს განვითარების მოთხოვნებსა და ლიმიტებს.	<ul style="list-style-type: none"> <li>კონცეფცია არსებობს და შესაბამება ეროვნული პარკის მოთხოვნილებების დონესა და გამტარუნარობის შესაძლებლობებს;</li> <li>კონცეფციის შესაბამისად შექმნილია დამატებითი შესაძლებლობები, პროდუქცია და სერვისები.</li> </ul>
პმ.15	სხვა სუბიექტების მიერ შემოთავაზებული პროდუქციისა და სერვისების გაუმჯობესების შესაძლებლობა.	<ul style="list-style-type: none"> <li>ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში არსებული ობიექტები, რომლებიც ჩართული არიან ეკო-ტურისტულ საქმიანობაში, მათი სერვისი და პროდუქცია აკმაყოფილებს დაწესებულ სტანდარტებს.</li> </ul>
პმ. 16	მტირალას ეროვნული პარკის, როგორც ეკო-ტურისტული დანიშნულების ადგილის გაუმჯობესებული მარკეტინგი.	<ul style="list-style-type: none"> <li>ეროვნული პარკის, როგორც ეკო-ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ სარკვლამო ინფორმაცია უფრო ფართოდ ვრცელდება შესაბამისი მედია საშუალებებით.</li> </ul>
პმ. 17	ადგილობრივი მოსახლეობა გაზრდილ სარგებელს იღებს ეკო-ტურიზმიდან.	<ul style="list-style-type: none"> <li>სოციალურ-ეკონომიკური კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ გაცილებით მეტი ოჯახი იღებს უფრო მეტ შემოსავალს ეკოტურიზმიდან.</li> </ul>

3. მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ქმედებებისა და

ღონისძიებების განხორციელება

№	მიზანი (რისი მიღწევა გვსურს მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადის დასასრულისთვის)	სავარაუდო ღონისძიებები და ქმედებები (რა შეიძლება გაკეთდეს პროგრამის მიზნების მისაღწევად)
		<ul style="list-style-type: none"> <li>უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს</li> </ul>



არსებული ინფრასტრუქტურის მოვლისა და შენახვის გეგმა, მათ შორის: ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან ვიზიტორების მიერ გამოყენებული ტერიტორია, ვიზიტორთა ცენტრი ჩაქვისთავში, ტურისტული თავშესაფარი, ბილიკები, მათი ნიშნულები და საინფორმაციო დაფები, საპიკნიკე ადგილებისა და ცეცხლის დასანთები ადგილები, წყალმომარაგების ობიექტები და სხვა;

· ჩაქვისთავის ვიზიტორთა ცენტრის მიერ მოწოდებული სერვისების გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებებით:

ა) ვიზიტორთა ცენტრის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ ტრენინგი ინგლისურ ენაში;

ბ) განახლდეს და გაუმჯობესდეს გამოფენა;

გ) აშენდეს სპეციალური ბილიკი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის;

დ) მომზადდეს და დარიგდეს ეროვნული პარკის უკეთესი ხარისხის რუკები.

· ეროვნული პარკის ადმინისტრაციასა და აჭარის ა/რ მთავრობას, ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებსა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს (მთა-ბარი) შორის დაარსდეს კოორდინაცია ტურიზმის პროდუქციასა და სერვისების, ტურიზმის მარკეტინგის თემებზე.

· მოიძებნოს საშუალება ეროვნული პარკის მიმართულებით რეგულარული ტრანსპორტის დანიშვნისა და მოსახერხებელი მისადგომი ადგილებისთვის ტურისტულ სეზონზე მაინც.

· გაუმჯობესდეს ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზები და აღიჭურვოს საკმარისი ტევადობის პარკინგის ტერიტორიებით იმ ადგილზე, საიდანაც იწყება ტურისტების ბილიკი.

· გადაიხედოს ტურისტებისთვის განკუთვნილი კითხვარი და შეიცვალოს საჭიროების მიხედვით.

· ჩამოშორდეს დაზიანებული ინფრასტრუქტურა დროულად.

· 4-6 ადამიანის ტევადობის უფრო მეტი თავშესაფრების მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება მხოლოდ ძირითადი აღჭურვილობით.

· შემუშავდეს და განხორციელდეს კონკიურენცია. საჭიროებების შეფასებისა და

არსებული შესაძლებლობების, პროდუქციისა და სერვისების გაუმჯობესება.

პმ.13



განვითარების ღიმიტების შედეგებზე  
დაყრდნობით, კონცეფცია უნდა მოიცავდეს:

პმ.14

დამატებითი შესაძლებლობების,  
პროდუქციისა და სერვისების  
შექმნა კონცეფციის მიხედვით,  
რომელიც ითვალისწინებს  
განვითარების მოთხოვნებსა და  
ღიმიტებს.

- ახალი საფეხმავლო ბილიკების (შემოთავაზება იხილეთ დანართში 2დ) მოწყობა, რათა მოხდეს რამდენიმე-დღიანი ტურებისა შეთვაზება;
- დამატებითი ღამისთვეის თავშესაფრების აშენებას 4-6 ადამიანის ტევადობით;
- უფრო ხანგრძლივი დროით გაჩერებისთვის კოტეჯების მოწყობა.

